ივლისი
1935 წ.
№ 115

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JUILLET
1935—№ 115

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

ბაგიერი—დასასრულის დასაწყისი?
ერთა ლიგის დამხმარე საზოგ. საერთ. კონგრესი.
ა. ყორყოლიანი—დიდი ლტოლვილი.
ი. სალაყაია—წყნარ ოკეანეს პრობლემა.
ემ. ლ—ძე—კარგი პრესა.
ვ. კაკაბაძე—კომუნისტები საქართველოში.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
იტალიელი ჟურნალისტი რუსეთში.
კავკასიის ერთა დამ. საერთო დღეს. ვარშავაში.
ჩრდილო-კავკასიელთა შორის. და სხვ.

დასასრულის დასაწყისი?

ვინც საბჭოთა კავშირის სინამდვილეს დღეს თუნდაც ზერელედ იცნობს და კიდევ შერჩენია ოდნავი მიუდგომლობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ მსოფლიოს ეს მეექვსედი ნაწილი წარმოადგენს მონურ ფსიქოლოგიის გამეფების მიუწდომელ მაგალითს; თამამად შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის მთელ ისტორიის მანძილზე არც ერთ დიქტატორს, არც ერთ ცნობილ დესპოტს არ ღირსებია ისეთი «გაღმერთება», ისეთი უცოდველი კერპობა, როგორიც წილად ხვდა საბჭოთა კავშირის დღევანდელ დესპოტს. ვერც ერთი სირცხვილისა და ნამუსის მქონე ადამიანი ვერ იტყვის, რომ ამ საზღაპრო განდიდების წყაროდ იყოს სიკეთით აღვსილისა და გაბედნიერებულის სიყვარული თავის კეთილისმყოფლისა და გამაბედნიერებლის მიმართ: ზოოლოგიური შიშით შეპყრობილი მონა აქებს და აღმერთებს შიშის მგვრელ დესპოტს.

მონობაში ჩავარდნილ საბჭოთა კავშირის ბედგამწარებულ მცხოვრებს არ შეუძლია ენა ისე მოაბრუნოს, რომ თავის სიტყვაში—თუნდაც იგი მზისა და მთვარის დაბნელებაზე ლაპარაკობდეს—სტალინის ქება-დიდება არ ჩაურთოს და მისი მიუწდომელი გენიოსობა არ დაიმოწმოს, მისი კაცთმოყვარეობა და სათნოება არ აღიაროს. ვისაც თავისი ტანჯული სიცოცხლე სავსებით არ გაუწირავს, სხვანაირად მოქცევას ვერ გაბედავს; სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს იგი,—კომუნისტი თუ უპარტიო, პოლიტიკური მოღვაწე თუ მეცნიერი, მწერალი თუ უბრალო მომაკვდავი—ყველასთვის სავალდებულოთ არის გამხდარი წამდაუწუმ იძახოს: ჩვენი სტალინი, დიდი სტალინი, საყვარელი ბელადი და სხვა.

მაგრამ ცხოვრებას თავისი გარდაუვალი ლოგიკა აქვს; საბედნიეროდ ამ ქვეყნად არაფერია მუდმივი და დაუსრულებელი. მონობის სამეფოდან ამ უკანასკნელად მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მათი მოთმინება თავის დასასრულს უახლოვდება. ამას წინეთ დეპეშათა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ ღალატსა და შეთქმულებას თვით კრემლშიც კი უჩენია თავი. თუ ხმებს დაუჯერებთ—და აქ დაუჯერებელი არაფერია—შეთქმულებს მიზნად ჰქონიათ სამხედრო გადატრიალების მოხდენა და «საყვარელ სტალინის» თავიდან მოცილება. თუ რამდენათ სერიოზულ ხასიათს უნდა ატარებდეს ეგ შეთქმულება, ეს იქედან სჩანს, რომ მასთან კავშირი ქონიათ კრემლის დამცველ რაზმებსაც. თვით ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდან ვიცით, რომ ამ ჟამად დიდი «წმენდა» ხდება კრემლში, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული დაცვის საქმის გაჯანსაღებას. ჩვენ კარგად ვიცით, რას წარმოადგენს ეს «წმენდა»და გაჯანსაღება. შეშინებული სტალინი დღეს არავის ინდობს. მან უყოყმანოდ გასწირა თვით თავისი გუშინდელი ახლო მეგობარი აბელ ენუქიძე და ყოველგვარ ღირსება ახდილს შორეულ ციმბირში უკრა თავი.

ერთ ემიგრანტულ გამოცემის მოსკოველ კორესპონდენტის ცნობით მოსკოვში სტალინს თვლიან «პავლე პირველის მდგომარეობაზე გადასრულად». იგივე კორესპონდენტი განაგრძობს, რომ «კიროვის მოკვლის შემდეგ იგი არავის ენდობა, თვით მის ახლობელ ამალიდანაც კი. ყველა ახლობელში იგი ხედავს «გრაფ პალენს». ამნაირად კრემლი დაემზგავსა «საინკინერო კოშკს». აქამდის სტალინი განაგებდა შიშის საშვალებით, ახლა კი შიში განაგებს სტალინს. მას ეშინია თავისიანების და მზად არის დაეყრდნოს გარეშეებს». ყოველივე ეს სავსებით დასტურდება სტალინის უკანასკნელი თვეების საქმიანობით. მან გარეკა ძველი ბოლშევიკების საზოგადოება; ცხადია საკუთარი ტყავის შიშით შეპყრობილმა დიქტატორმა აქაც «კრამოლა» დაინახა და დააჩქარა ამ საშიში ფაქტორის თავიდან მოცილება. მან არ დაინდო არც ახალგაზდა კომუნისტთა კავშირი და მისი პოლიტიკური უფლებები თითქმის სავსებით შეკვეცა; ამიერიდან «კომსომოლს» შეუძლია იმოღვაწეოს მხოლოდ კულტურულ სარბიელზე, ხოლო ქვეყნის მართვა-გამგეობისა და მის სამეურნეო ცხოვრების საქმეებში ჩარევა მას სასტიკად ეკრძალება.

«ნეიე ფრეიე პრესეს» კორესპონდენტი ბასეხესი იტყობინება, რომ პარტიის «მემარცხნე ოპოზიცია თავის თავს აშკარად თვლის კომუნისტურ პარტიის გარეშე მდგომ ორგანიზაციად» და რომ ეგ მემარცხნე ოპოზიცია «ახალგაზდობის რიგებში პოულობს მრავალრიცხოვან მიმდევრებს». კორესპონდენტის აზრით «მომავალი ანტისაბჭოური რევოლუციონური პარტიის ჩანასახი უფრო და უფრო ტივტივდება საბჭოთა კავშირის ცხოვრების ზედაპირზე.

ყოველივე ეს ფრიად საგულისხმიერო ნიშნებია. მონების მოთმინების ფიალა ავსებულა და სტალინის დასაყრდნობი ბაზა თანდათან ვიწროვდება. ცხადია, რომ ამ პროცესს ხელს შეუწყობს და კიდევ უფრო დაჩქარებს ეჭვის ქვეშ დაყენებულ თავისიანების წინააღმდეგ მიმართული სტალინის ახალი რეპრესიები. დღემდე გულის სიღრმეში ჩამარხული ფარული სიძულვილი დიქტატორისადმი დღეს აშკარა გამოსახულებას იღებს; შუბი ხალთაში დამალვას ვერ ახერხებს და ზოგიერთ შემთხვევაში მისი გაშიშვლებული წვერი მწარეთ იჩხვლიტება. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია კომუნისტ ვინიჩენკოს «ღია წერილი სტალინსა და პოლიტბიუროს იმართ», რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პარიზში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ კომუნისტი, რომლის «უკლონისტობა» და ოპოზიციონეობა დღემდე არსად თქმულა, ბედავს ემიგრანტულ გამოცემაში მოათავსოს საბჭოთა ხელისუფლებისა და უზენაესი დიქტატორის მომაკვდინებელი კრიტიკით სავსე წერილი. იგი გაბედულად იწუნებს და სოციალიზმის დამასამარებლად მიაჩნია საბჭოთა ხელისუფლების «პაქტომანიობა» და მოსალოდნელ ომიდან გამარჯვებით გამოსვლაზე ოცნება; იგი უპატიოსნო თამაშად აცხადებს საერთო ფრონტის ქადაგებას უცხოეთში მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში «ყოველივე უთანხმოება პარტიის მმართველ მიმდინარეობასთან ითვლება სახელმწიფო დანაშაულად და ისჯება განდევნით, კონცლაგერით, დატუსაღებით, კატორღით და ზოგჯერ სიკვდილითაც». თუ თქვენი საერთო ფრონტი არის არა მორიგი მანევრი, არამედ გულწრფელი და პატიოსნური განზრახვა, იგი უნდა განახორციელოთ საბჭოთა კავშირშიდაცო, ურჩევს ვინიჩენკო სტალინს.

ის დასცინის კომუნისტურ ხელისუფლების ოფიციალურ მტკიცებას, რომ თითქო საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხი იდეალურად იყოს გადაჭრილი. «დიდად სამწუხაროთ ეგ ასე არ არისო», აცხადებს გაბედული ავტორი და განაგრძობს: «თქვენი შეგნების სიღრმეში თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად იცით, რომ ამ საკითხის იდეალურად გადაჭრამდე ჯერ კიდევ შორს არის. ეგრედ წოდებული «ნაციონალისტური გადახრები», «უკლონისტების» შეუწყვეტელი დატუსაღებები, მათი დახვრეტები, მღელვარება მასებში, ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ამ მიმართულებით კიდევ არ არის დამყარებული სიწყნარე და მტკივნეული საკითხი არამც თუ იდეალურად, არამედ ოდნავ დამაკმაყოფილებლადაც არ არის გადაჭრილიო».

ცნობილია, რომ პირველი მერცხალის მოფრენა კიდევ არ ნიშნავს გაზაფხულის დადგომას, მაგრამ იგი უთუოდ მოწმობს გაზაფხულის მოახლოვებას. ვანიჩენკოს გამოსვლა უდავოდ მოწმობს, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის მონობში ჩავარდნილ ხალხებსაც დაუდგებათ გაზაფხული. ხოლო თუ ამას ზედ დაუმატებთ კრემლის შეთქმულებას, ძველ ბოლშევიკების განდგომას და კომსომოლის გაოპოზიციონერობას, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კომუნისტური ხელისუფლების მდგომარეობა ძალიან შერყეულია და იგი ბუნებრივად უახლოვდება თავის დასასრულს.

მაგიერი.

ერთა ლიგის

დამსმარე საზოგადოებათა საერთაშორ. კონგრესი.

ბ. გიორგი გვაზავა იყო გაგზავნილი ბრიუსელში, როგორც საქართველოს დელეგატი, ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც მოხდა 7-14 ივნისს.

მას დავალებული ჰქონდა:

1) გაეწია წინაამდეგობა, თუ ვინიცობაა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია დააპირებდა შემოსვლას ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო კავშირში, და 2) დაეცვა ქართველთა ასოციაციის უფლებანი, თუ ვინიცობაა დადგებოდა საკითხი მისი გამორიცხვისა ამ კავშირიდან.

როგორც ჰხედავთ, ასეთი პროგრამა ვერ ჩატარდებოდა ცხარე ბრძოლის მიუცემლად, სადაც ერთჯერ კიდევ გაიშლებოდა განათლებული ევროპის წინაშე საშინელი სურათი რუსეთის თავდასხმისა საქართველოზე და იმ ტანჯვისა, რომელსაც განიცდის ქართველი ერი; მაგრამ ბოლშევიკური დელეგაცია არ გამოცხადდა, ალბად დაინახა, რომ «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს». სხვანაირად რომ ვსთქვათ, დაინახა, რომ იგი ვერ გამოჩნდება იქ, სადაც ლაპარაკია სამართალზე და მშვიდობიან განწყობილებაზე ერთა შორის. ამიტომ ჩვენი დელეგატიც ჩუმად იყო: არ მიეცა შემთხვევა საჯაროდ გამოსვლისა.

აღსანიშნავია მხოლოდ ერთი ინციდენტი. საკითხი იდგა უმცირესობათა შესახებ. უკრაინის დელეგატმა, ბ. სმოლ სტოკკიმ, საჭიროდ დაინახა ჩარეოდა მსჯელობაში. წარმოსთქვა სიტყვა, განაცხადა, რომ უკრაინელები ბევრ სახელმწიფოში დიდ უმცირესობას წარმოადგენენო და მოითხოვა დაცვა მათი ინტერესებისა. ამ დროს წამოვარდა პროფ. ე. ბორელი, თავმჯდომარე საფრანგეთის დელეგაციის,— ეს ის ბორელია, რომელმაც წინაამდეგობა გაუწია საქართველოს საკითხს შარშან ფოლკსტონში (ინგლისში)—წამოვარდა და დაიყვირა: «ვისი სახელით ლაპარაკობთ? თქვენ ვინა ხართ? თქვენ არავის არ წარმოადგენთ!»

მაშინ უკრაინის მეორე დელეგატმა, ბ-ნ შულგინმა, აიღო სიტყვა და უპასუხა: «მე მიკვირს, რომ საფრანგეთის წარმომადგენელი ასე უდიერად ექცევა უკრაინის წარმომადგენელსო. ჩვენ 40 მილიონი ხალხი ვართ, ამისთანა ხალხს აქვს თავისი ფასი მშვიდობიანობის დამყარებისათვისო. ბ-ნ ბორელის გამოსვლა არ შეეფერება ამ ყრილობის ღირსებასო!» ბ. შულგინის რეპლიკას ყრილობა მიეგება ტაშის ცემით.

ინციდენტი თითქო ამოწურული იყო, უკრაინის დელეგატებიც ადგნენ და გავიდენ გარედ; მაგრამ როცა უმცირესობაზე მსჯელობა გათავდა, პროფ. ბორელმა მოითხოვა სიტყვა პირადი საკითხისათვის და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ «საფრანგეთი ერთნაირად უღებს თავის კარებს ყოველნაირ გადმოხვეწილებსო: იტალიელებს, გერმანელებს, რუსებს, ქართველებს, სულ ერთიაო...» აქ ბ-ნ გვაზავამ მოითხოვა სიტყვა.

თავმჯდომარე ბ. ჯიანინი. მე ვთხოვ საქართველოს დელეგატს თავი შეიკავოს.

გ. გვაზავა. შეცდომაა ფაქტიური და იურიდიულიც. ქართველები და უკრაინელები მსხვერპლნი არიან გარეგანი თავდასხმისა, არ შეიძლება მათი ერთ კალაპოტში მოქცევა რუსებთან და სხვა ლტოლვილებთან...

თავმჯდომარე. უკაცრავად, მე ვერ გავხსნი ეხლა დებატებს იმ სიტყვის გამო, რომელიც მხოლოდ პიროვნულ საკითხს შეეხებოდაო.

სხდომა რომ შეწყდა, ბევრი დელეგატი შემოეხვია ბ-ნ გვაზავას, რომელმაც მისცა ყველას საჭირო განმარტება აღძრულ საკითხის შესახებ. როცა პროფეს. ბორელიც მიუახლოვდა ამ ჯგუფს, ბ-ნ გვაზავამ აჩვენა მას საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის ბ. პიერ ლავალის წერილი, რომლითაც იგი ატყობინებს ქართველთა ოფისს პარიზში, რომ ქართველი ლტოლვილები არ ეკუთვნიან რუსეთის ლტოლვილებს, ისენი ქართველები არიან და არ უნდა იყვნენ არეული რუსებში... ბ-ნ ბორელმა რომ წაიკითხა ეს წერილი, ხელი დააქნია: «ვერა გამიგია რაო!»

ამავე საგანზე ბ. გ. გვაზავას ჰქონდა მოკლე საუბარი ბელგიის მთავრობის თავმჯდომარესთან ბ-ნ ვან ზეელანდთან. ბ-ნი ვან ზეელანდი მოექცა ჩვენს დელეგატს დიდის ყურადღებით და, როცა ამ უკანასკნელმა გადასცა თხოვნა, რომ ბელგიის მთავრობა მოპყრობოდა ქართველ ლტოლვილებს ისე, როგორც ეპყრობა საფრანგეთის მთავრობა, მან უპასუხა:

— მოახსენეთ ბ-ნ ჟორდანიას, რომ ჩვენ უკვე მივიღეთ ეს დადგენილებაო.

მართლაც ეს დადგენილება კიდეც მოუვიდა ჩვენს ოფისს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა განათლებული ქვეყანა მიბაძავს ამ მაგალითს და ამ ნაირად დაცული იქნება, რამდენად ეს შეიძლება ეხლანდელ პირობებში, საერთაშორისო სტატუტი საქართველოსი.

* * *

დიდი ლტოლვილი

(ვიქტორ ჰიუგო)

II.

პოეტის აზრები და შესაფულებანი.— ჰიუგო ემიგრანტი.

ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრება იყო ფრიად შინაარსიანი. ეს ცხოვრება შეუჩერებელი და სრული გამარჯვება იყო პოეტისთვის. ის ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული (მან იხილა სინათლე ბეზანსონში 1802 წ. თებერვალში). მას ამ მხრივ შეედრება მხოლოდ გერმანელი გენიოსი გეოთე, რომლის სიცოცხლეც ასევე ხანგრძლივილი და გამოჩენილი იყო, მაგრამ უფრო წყნარი და ნაკლებად მრავალფეროვანი. ბედი სწყალობდა დიდ მგოსანს, თუმცა მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარე მომენტებიც კი განიცადა*). უკვე ცნობილი, როცა ის თითქმის ბავშვი იყო (18 წლის), ჰიუგო უკვე გამოჩენილი და სახელგანთქმული მწერალი იყო, როცა მას 35 წელი შეუსრულდა. მის ირგვლივ თავს იყრიდა აღფრთოვანებული ახალგაზდობა, ვაჟი და ქალი; პოეტს თაყვანს სცემდენ მცოდნენი და თვით უბრალო ხალხიც. დაჯილდოებული ბუნებისა და ადამიანისგან, ის 45 წლამდის ცხოვრობდა, როგორც მწერლობის პრინცი. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მას შეეძლო ეგრძნო ტკბილი და უზრუნველი სიცოცხლე, ის შეიქმნა (ნაპოლეონ მე-III დროს) ლტოლვილი. ლტოლვილობაში მისი სახელი კიდევ იზრდება და ბრუნდება სამშობლოში 20 წლის შემდეგ, როცა ინგრევა იმპერია; ბრუნდება როგორც გმირი, როგორც შეუდარებელი შორსმჭვრეტელი, რომლის ტრაღიკული წინასწარმეტყველება არა ერთხელ სრულდება ხოლმე.

სიცოცხლეში სახელითა და დიდებით განებივრებულს, სიკვდილის შემდეგაც უდიდესი პატივი ხვდა. არავის არ ღირსებია ისეთი დასაფლავება, როგორც ჰიუგოს. ეს იყო თავისი სიდიადით უჩვეულო სანახაობა, მთელი ერი (და უცხოეთიც) გლოვდა მის დაკარგვას. მას წილად ხვდა რამდენიმე დღეს განესვენა იქ, სადაც არც მანამდის, არც მას შემდეგ არავის არ ღირსებია გაკარება, თუ არა საფრანგეთის უცნობ ჯარის კაცს—Arc de Triomphe-ში. ამ ჟამად კი—როგორც ვიცით—დიდი გვამის მუდმივი საბინადროა პანთეონი.

ვ. ჰიუგო ყველა სხვა პოეტებზე უფრო სახელგანთქმულია. ის არის ზედმიწევნით პოპულიარული პიროვნება. მისი პიესები და რომანები ჩაწვდენ საზოგადოების გულის სიღრმეს. რომელ ფრანგს (ან თუ გნებავთ უცხოელსაც) არ უნახავს სცენაზე ჰერნანი ან Ruy Blaz? ვის არ წაუკითხავს, ან ვის არ უნახავს «Le Misérsbles-ი სინემის ეკრანზე? ამჟამათაც პარიზში და პროვინციაში ის აქტუალურია. დარბაზები გაჭედილია ხალხით, რომელიც აღფრთოვანებაში მოდის გენიის ნაყოფით. მის მიერ შექმნილი უკვდავი ტიპები: მარიუსი, კოზეტი, გავროში და ჟან ვალ ჟანი —საყოველთაოთ ცნობილნი არიან. პოეტის ძეგლებით მოკენჭილია ქვეყანა. საფრანგეთის ყველა ქალაქებში და სოფლებში თქვენ აუცილებლათ შეხვდებით ჰიუგოს ქუჩას, მოედანს ან ბულვარს, და მისი სახელი ცნობილია უკანასკნელი გლეხის მიერ უფრო მეტად, ვინემ ტიერი, გამბეტა ან პასტერი.

ჰიუგო ძლიერ პოპულიარულია; და ეს არც არის გასაკვირი: მას ესმოდა ხალხის, ხალხს ესმოდა მისი და ხალხმა შეიყვარა ის!

როგორ უცქეროდა ხელოვნებას დიდი მწერალი?

ამ კითხვაზე იგი იძლევა პასუხს ერთ წერილში თავისი დრამატიული ნაწარმოების შესახებ: «ამ დრამის ავტორმა—სწერს იგი—კარგად იცის, თუ რა დიადი და სერიოზული დარგია თეატრი. მან უწყის, რომ დრამას აქვს (ხელოვნების მიუდგომლობის ფარგლებში დარჩენილს) მისია სოციალური, ეროვნული და კაცობრიული». «ხელოვნებამ არ უნდა ეძებოს მარტო მშვენიერება, არამედ სიკეთე, სარგებლიანობა». ჰიუგოს აზრით ხელოვნებისთვის საკმაოა, რომ დაასურათოს ძალდაუტანებლად და რეალურად ჭეშმარიტება, ცხოვრება, ადამიანის ტიპები, ადამიანური გრძნობები. ეს საკმაოა, რომ მკითხველმა ამის შემდეგ თვით გაიკვლიოს თავის გზა და იხილოს სიმართლე. მაგრამ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ასეთი თეორია ყოველთვის ვერ პოულობს გამართლებას ავტორის პრაქტიკაში, სადაც ხშირად გარკვეულ ტენდენციას აქვს ადგილი; ეს ჩვენის აზრით ადვილი გასაგებიც არის და განსაკუთრებით მაშინ, როცა მწერალი—პოეტი არის «ცოცხალი» არსება და მისი დროის საზოგადოების «მომქმედი» წევრი და შვილი. «საჭიროა—ამბობს ის—რომ ხელოვნება იყოს თვით მიზანი, რომელიც გააცნობიერებს ადამიანს, შემატებს მას მორალს, მოგვრის ცივილიზაციას... რაც ის იქნება უფრო მიუდგომელი, რაც უფრო ის გვერდს აუვლის წარმავალს, ყოველდღიურ პოლიტიკურ საკითხებს, მით უფრო ის შეეწყობა ყოველივე დროისა, თუ ადგილის ადამიანს, მით უფრო მას ექნება მომავალის ფორმა» და სხვა. «ნუ იქნებით ნურც ოპოზიციის, ნურც ხელისუფლების, იყავით საზოგადოების, როგორც მოლიერი და კაცობრიობის, როგორც შექსპირი», ამბობს კიდევ ჰიუგო. ხელოვნება და თეატრი უნდა იყოს პოპულიარული; ხელოვნებამ არ უნდა დაივიწყოს იდეალი, როცა ის მესსას მიმართავს ხოლმე. მესსას აქვს იდეალის ინსტიქტი... და სხვა.

რაც შეეხება პოლიტიკას, ჰიუგომ რამდენჯერმე შეიცვალა—ახალგაზდობაში—თავისი შეხედულება, სანამ ის გახდებოდა გაკაჟებული რესპუბლიკანელი. მაგრამ ეს ცვალებადობა სრულიად თავისუფალი და უმწიკვლო იყო და არასოდეს პირად სარგებლობას ან ჟინიანობას ადგილი არ ქონია. თითონვე იტყოდა ხოლმე: გებრი*) მუხლს იდრეკს მზის წინაშე, პოეტი კი მხოლოდ ჭეშმარიტების წინაშეო.

ის ამბობს ერთ ადგილას: როცა ადამიანზე ამბობენ, რომ მას არ შეუცვლია აზრი 40 წლის განმავლობაშიო, ეს არ არის მისი შექება. ეს ნიშნავს, რომ ამ კაცისთვის არ არსებულა არც ყოველდღიური გამოცდილება, არც დაფიქრება და სხვა. ეს ნიშნავს ქება შეასხა წყალს იმიტომ, რომ ის არ მოძრაობს, და ხეს იმისთვის, რომ ის მკვდარია... ყოველივე ცვალებადია აზროვნებაში; არა არის რა აბსოლუტური პოლიტიკაში, გარდა შინაგანი მორალისა, მაგრამ მორალი სინიდისის საქმეა და არა აზრის. მაშ ადამიანმა აზრი შეიძლება შეიცვალოს პატიოსნურად, მაგრამ მორალი უნდა დარჩეს. პროგრესიული თუ რეტროგადული მოძრაობა არის არსებითად ცხოველი, ადამიანური, სოციალური. სასირცხო ის არის, რწმენა რომ იცვალოს პირად ინტერესებისათვის.

---

*) ეს მაშინ, როცა მოყვარულმა მამამ დაკარგა ძვირფასი შვილები. მწუხარების ეს მომენტები აღნიშნულია მის შეუდარებელ ლექსებში,

*) გებრი ერქვა იმ სპარსელს, რომელიც ზაროასტრის რელიგიას ეკუთვნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზდობაში ჰიუგომ განიცადა ბონაპარტისტობა, შემდეგ ის როიალისტი-კათოლიკე იყო, მაგრამ უკვე 28 წლის ჭაბუკი მარცხნივ იწევს და დაბოლოს რესპუბლიკანიზმს ემხრობა და უკვე როგორც მებრძოლი—ან როგორც თითონ იტყოდა—რევოლუციონერი. (ერთ წერილში თავის თავს «დემოკრატ-სოციალისტსაც» კი უწოდებს). მის ნაწერებს—ლექსს თუ პროზას—დროისა და მიხედვით ამ სხვადასხვა შეხედულებათა დაღი ასვია. ლიბერალიზმი, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეა, რომელსაც ის ასე ხანგრძლივად და გულწრფელად ემსახურებოდა—ჯერ ხელოვნებაში გამოიჩინა, შემდეგ მან სასოგადოებაში გადაიტანა და ცხოვრებაში გაატარა.

ჰიუგოს ლექსში, პროზაში და პუბლიცისტურ ნაწარმოებში ნათლად გამოსჭვივის მისი მაღალი გრძნობები, ადამიანობა, სამართლიანობა, კეთილი გული. ჰიუგო დიდი პატრიოტია. მაგრამ პატრიოტი საღი გონების. მას სძაგს ომი და ქადაგებს ერთა შორის თანხმობას და თანამშრომლობას. ის მოითხოვს განიარაღებას. მისი იდეალი არ არის მხოლოდ ეროვნული, არამედ კაცობრიული. ის ქადაგებს ევროპისა და მსოფლიოს შეერთებულ შტატებს. ის მოსარჩლეა ყველა ჩაგრულის, კერძო ადამიანის თუ მთელი ერის. ეტრფის თავისუფლებას. უყვარს მეცნიერება, წინსვლა, ყოველივე პროგრესი. მან იცის, რომ ტექნიკა ძლიერ განვითარდება, რომ ჰაეროპლანები ცას დასერავენ; მას არ უნდა, ეს გამარჯვება ადამიანებმა ერთმანეთის გასაქელტად რომ გამოიყენონ. ჯერ კიდევ ახალგაზდობის ნაწერებში ითვალისწინებს ხალხის განვითარების გზებს. პოეტს უკვე წარმოდგენილი აქვს მომავალი ერთა ლიგა.

მკითხველმა იცის, თუ როგორ გამეფდა პირველი კონსული ნაპოლეონი და როგორ გააუქმა მან რესპუბლიკა. 40 წლის შემდეგ საფრანგეთის ხალხი ივიწყებს ამ ამბავს და ტახტზე აყავს ნაპოლეონ პირველის ძმისწული ლუი ბონაპარტი, ცნობილი ავანტიურისტი. ჯერ ის—რაღაც საკვირველებით—რესპუბლიკის პრეზიდენტი ხდება, რამდენიმე წლის შემდეგ კი თავის თავს იმპერატორად აცხადებს. დიდი ისტორიკოსი მიშლეს სიტყვით რომ ვსთქვათ—ხალხმა თავის ხელით გამოიპრა ყელი.

ვ. ჰიუგო—პარლამენტის წევრი—სხვა ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად იძულებული შეიქნა ბარიკადებზე ბრძოლის შემდეგ თავი შეეფარებია უცხოეთში. ის ჯერ დაბინავდა ბრიუსელში, საიდანაც ადრე გაძევებულ იქნა. შემდეგ ის სახლდება ინგლისში, ჯერხეში. აქედან ინგლისის პოლიცია (ნაპოლეონის მოთხოვნით) მას აძევებს და ჰიუგო გადადის გერნეზეში. პირველ ხანებში ჰიუგო და მისი დიდი ოჯახი განიცდის მატერიალურ შევიწროებას და ცხოვრობს ძლიერ ღარიბულად.

დიდი პოეტი უცხოეთში იჩენს არაჩვეულებრივ აქტიობას ყოველ დარგში: ლიტერატურაში, პოლიტიკაში, ქველმოქმედებაში. მისი ბევრი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი დაწერილია ემიგრანტობის ხანაში, პოლიტიკურ სფეროში ის განუწყვეტლივ ებრძვის ნაპოლეონ მესამეს და მის მთავრობას, რომლის დაცემაში ვ. ჰიუგომ ითამაშა უპირველესი როლი... არც ერთი შემთხვევა არ გაუშვია დიდ ლტოლვილს, რომ არ ესარგებლა და არ გამოეყენებია. მისი ასეთი აქტიობა დიდ გავლენას ახდენდა საფრანგეთის ცხოვრებაზე. პოეტის დიდი და ავტორიტეტული ხმა უცხოეთიდან აღვივებდა სამშობლოში დემოკრატიულ ცეცხლს და აღრმავებდა ანტაგონიზმს საფრანგეთის ერსა და იმპერატორს შორის. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ამონაწერს 1869 წ. გაზეთიდან («Siecle»). როცა ნაპოლეონის ტახტი გაიბზარა და ხალხი დიდი მანიფესტაციისათვის ემზადებოდა, დასახელებული გაზეთი სწერდა: «მძიმე პასუხისმგებლობა აწევს დღეს უკიდურეს პოლიტიკურ პოლიუსებზე მდგომ ორ ადამიანს. ერთი მათგანი ტახტზე ზის: ეს არის ნაპოლეონ მესამე. მეორეა ვიქტორ ჰიუგო».

მაგრამ მსოფლიო მოქალაქე ჰიუგო მხოლოდ და მარტო თავის სამშობლოსთვის როდი იბრძოდა. ის იყო დიდი ვექილი ყოველი ჩაგრულის, ადამიანის თუ ერის. არა ერთი ერი თუ პიროვნება მიმართავდა ხოლმე ჰიუგოს—ლტოლვილს და სთხოვდა შემწეობას და დახმარებას მათი უფლებების დასაცავად, ან აღსადგენად. მისი ავტორიტეტი და გაბედული ხმა ხშირად გაისმოდა ყოველგვარ ძალმომრეობისა და უსამართლობის წინაამდეგ. ის იბრძოდა საბერძნეთისთვის, იტალიისათვის, უნგრელებისათვის; ებრძოდა ბარბაროსულ ცარიზმს პოლონეთის და კავკასიისათვის, იცავდა კუბას ისპანიის წინაამდეგ, ჩინეთს ინგლისისა და საფრანგეთის წინაამდეგ, იცავდა მექსიკის და ირლანდიის უფლებებს, ექომაგებოდა დარბეულ შავკანიანთ ამერიკაში, სასტიკ ბრძოლას უცხადებდა სიკვდილით დასჯის კანონს და სხვა.

ვიქ. ჰიუგო იყო ყველას მანუგეშებელი. «ერები სისხლს ღვრიან, მაგრამ არ კვდებიან», «არ არსებობს დიდი და პატარა ერი, ყველა ერს ერთნაირი უფლება აქვს», «არ არსებობს მომხდარარი ფაქტი (fait accomp'is), არის მხოლოდ უფლება», ქადაგებდა ის. «როცა ერთი მხრით არის მონობა «კეთილდღეობით» და მეორეს მხრით თავისუფლება სიღარიბეთი, მე ვამტკიცებ: არ არსებობს ისეთი რესპუბლიკანელი ან სოციალისტი, რომელიც არ ამჯობინებდეს შავ პურსა და თავისუფლებას თეთრ პურსა და მონობას», ამბობდა თავისუფლების მოტრფიალე, ადამიანისა და ერის დიდი მოამაგე.

ჰიუგოს პატრიოტს, სამშობლოს მოშორებულს, რა თქმა უნდა, მწარე წამებიც ქონდა ლტოლვილობაში. მკითხველმა იცის, თუ რას ნიშნავს სამშობლოს გარეთ ყოფნა, განსაკუთრებით სამშობლოს უქონლობა, როცა ადამიანი თავს გრძნობს ნიადაგ გამოცლილს, ჰაერში გამოკიდებულს, დამცირებულს მორალურად, ნივთიერად... მიუხედავად ამისა ვ. ჰიუგომ არ იცოდა, თუ რა არის სასოწარკვეთილება. გაუსწორებელი ოპტიმისტი, ღრმა რწმენის მატარებელი მუდამ ქადაგებდა ყველასთვის მხნეობას, მორალურ ამაღლებას, სულის სიძლერეს და იმედს. მას სწამდა მომავალი, მისი, სხვისი, ევროპის, კაცობრიობის. იმედიანობა, იმედიანობა, კვლავ იმედიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის, გადმოხვეწილთათვის დიდი ემიგრანტი და მისი ცხოვრება უნდა შეიქნას მაგალითი, მისაბაძავი და გამამხნევებელი. გავერთდეთ და ვიწამოთ მომავალი ჩვენი საქართველოსი! გავუმკლავდეთ მწარე ბედს, მწარე აწმყოს. მყობადი ჩვენია!

ანტონ ჟორჟოლიანი.

წყნარ ოკეანეს პრობლემა

VIII

ჩრდილო მანჯურიის ჩინეთისაგან მოწყვეტამ, რუსეთის ზღვის ნაპირა რაიონების სტრატეგიული მდგომარეობა გაართულა. ამ რაიონების იაპონიის მხრივ სამხედრო ოკუპაცია, ხელსაყრელი პირობების საკითხი გახდა. ვისაც მანჯურია ხელთ უპყრია, ვლადივოსტოკიც ადრე თუ გვიან მისია.

იაპონიის შიდა მონგოლიაში შეჭრამ, აქ სტრატეგიული პუნქტების დაპყრობამ, რუსეთს ბაიკალის აღმოსავლეთის ხაზით, საკმაო ხიფათი მოუმზადა. ეს ის ხაზია, რომლითაც არგუნი და ამური მიმდინარეობენ. ხაზი მეტად სათუთი და ადვილად ხელთ ჩასაგდები. საშიშროების წინ დამდგარი რუსეთიც, განსაკუთრებულის სიჩქარით შეუდგა შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო მზადებას.

მან ვლადივოსტოკი და ამურის ნაპირები გაამაგრა. ამ რაიონებში ჰაეროდრომები ააგო, დიდძალ ჰაეროპლანებსაც აქ თავი მოუყარა. მოსკოვ-ხაბაროვსკის შორის ახალი ლიანდაგი გაყავს. ორი ახალი ლიანდაგის გაყვანაც ბაიკალიდან ქვემო ამურამდე დაწყებულია. ეს გზა ნახშირით მდიდარ კორეის და ლითონით მდიდარ რაიონების გულს უნდა მისწვდეს. ახალ რკინის გზამ ჩელაბინსკი-ემანყელინსკის შუაც უნდა გაიაროს და გზა შეამოკლოს მაგნიტოგორსკიდან ჩელიაბინსკამდე. განზრახულია შექმნა ახალი რკინის გზის, ბლაგოვეშჩენსკი-კრასნოიარსკის მიმართულებით, სიგრძით 5 000 კილომეტრი. მან ბაიკალის ტბას ჩრდილოეთით უნდა მოუაროს და ხაბაროვსკი-ნიკოლაევსკის შორის გაიაროს. ამ გზას მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. სამხედრო მრეწველობა ურალშია შექმნილი, სამხედრო და სამრეწველო ბაზები კუზნეცკში. ცენტრალურ აზიაში ერთი ნავთის ბაზა გაჩენილია, მეორე ბაზის გასაჩენად ნიადაგია მომზადებული. მსუბუქი ინდუსტრია შორეულ აღმოსავლეთის მთელ რიგ ქალაქებში აწყობილია. შიდა გუბერნიებიდან შორეულ აღმოსავლეთისკენ დიდძალ გლეხობას ასახლებენ. მათ, გარეშე მონგოლიის საზღვრებიდან დაწყებული, ზღვის ნაპირებამდე «კოლხოზები» უნდა შექმნან, ჯარისთვის სანოვაგე ამზადონ. მიწას მიჯაჭვულმა მონებმა შვიდი ათასი კილომეტრის გასწვრივ, დახელოვნებულ ჩეკისტთა ზედამხედველობით მიწა უნდა ამუშავონ, თვით იშიმშილონ, სხვები არჩინონ.

ცხენოსან ყაზახთა ჯარის ნაწილები თავმოყრილია ციმბირში, სემირეჩინსკში, მაიაკალში, უსურიისკში და ამურზე. რუსეთის ჯარის მთავარი ნაწილები ზემო-უდინსკში და უსტ-სტრელსკის რაიონებში დაგროვილია. შორეულ აღმოსავლეთის საზღვაოსნო ხელისუფლების განკარგულებაში 50 წყალქვეშ მავალი ნავებიც იმყოფება.

იაპონიასთან ომის დროს, რუსეთის ჯარს აკლდა ზარბაზნები, თოფები თუ სხვა ომისთვის აუცილებელი მასალა. ჯარის კაცი ცუდად იყო ჩაცმული, სუსტად იკვებებოდა. მოუწყობელი იყო სატრანსპორტო საშუალებანიც. ომისთვის აუცილებელი საგნები, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ერთად ერთი ურალის გზით თვეების განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთისკენ ძლივს ძლივობით მიგორავდნენ. ამ დროს კი რუსის ჯარის კაცს, დაფლეთილ ფეხსაცმელებში, ორი-სამი კვირა უმოწყალო იაპონიის არტილერიის ქვეშ ბრძოლა უხდებოდა. უხეიროთ მოკაზმულ რუსის ჯარის ცხვირის წინ, იაპონია სრულიად დავისუფლად ნაპირებზე ჯარს ასხამდა და მტერს ერეკებოდა. მუდამ კმაყოფილებით აღსავსე მეფის მთავრობა კი ყურს არ იბერტყდა. მსხვერპლთა და დამარცხებათა დამალვა რუსეთის მთავრობის მეტად მოხერხებულ სისტემად გადაიქცა. გეკატომბათა პოლიტიკას გაყინული რუსეთი დიდხანს გაშეშებული შესცქეროდა. ბოლოს აინძრა. ნიკოლოზ მეორის მთავრობამ შინაურ დამარცხებას გარეშე დამარცხება ამჯობინა.

მას შემდეგ დიდ ომამდე ათ წელმა განვლო. რუსეთის ყველა ძველი ნაკლი ნაკლად დარჩა, ბევრი ახალი ნაკლიც თან დაემატა. დარჩა მოუწესრიგებელი სატრანსპორტო საშუალებანი, ჯარის მოკაზმულობა, ჩაცმა და საზრდოს მიწოდება. სამხედრო მინისტრს ფრონტიდან ერთი ტელეგრამა მეორეზე მოდიოდა. ერთი იტყობინებოდა, 150 ათასი ჯარის კაცი უთოფოა, გვიშველეთო. მეორე იწერებოდა: 200 ათას ჯარის კაცს არც თოფი, არც ტყვია გააჩნია. მუხლმოდრეკით გევედრებით, დაგვეხმარეთო. თოფის და ვაზნების საკითხი გერმანიის თუ სხვა ფრონტზე, «სისხლის» საკითხად გადაიქცა. «იძლევი ვაზნას» იყო ფრონტის სასოწარკვეთილი ძახილი. მარტო 1915 წელს ზაფხულში რუსეთის არმიამ უკან დახევის დროს ერთი და ნახევარ მილიონზე მეტი ჯარის კაცი დაჰკარგა.

პეტერბურგის სასახლე და უნიჭო მართველობა გეკატომბას უზარმაზარ ფრონტებზე ძველებურად გულგრილად შეჰყურებდა. ფრონტის მდგომარეობის გამოსწორებაზე არავინ ფიქრობდა, ან გამოსწორების ნიჭი არავის გააჩნდა.

ფრონტის ნგრევაზე ვინც ხმას ამოიღებდა, იდევნებოდა ან იტუქსებოდა. უვიც და მონობაში აღზრდილ ხალხს ვინ რას ეკითხებოდა. დამარცხებათა და დახოცილთა რაოდენობას, როგორც იაპონიასთან ომის დროს, მთავრობა მოხერხებულად მალავდა.

ბოლოს ფრონტის უკმაყოფილება მრისხანებად გადაიქცა. ეს მრისხანება კუთხიდან კუთხემდე გაყინულ რუსეთში შეიჭრა. ყინული დაინძრა. დაგროვილმა ბოღმამ ამოხეთქა. უზარმაზარ ტაიფუნმა არავინ დაინდო, დამნაშავეებთან ერთად, უდანაშაულონიც მილიონობით წალეკა.

დღევანდელ კრემლის მიერ აღმოსავლეთის ფრო-

ნტზე ყოველი დეტალი ჯარის შეიარაღების, ტყვიაწამლის თუ სანოვაგის დამზადების მხრივ შესწავლილ-გამომუშავებულია. მეფეთა დროის უნძრეველი აზიის სამფლობელო ამოძრავდა, ძლიერ სამხედრო სიმაგრედ გადასაქცევად ემზადება. შორეულ აღმოსავლეთის ფრონტი სტრატეგიულად გამძლე ბაზაზე და ახლო საკვებავ წყაროებზე ეყრდნობა. ბევრი ძველი ნაკლი კრემლის ახალ ბატონთა მიერ გამოსწორებულია.

სამნახევარი ათასი კილომეტრის მანძილზე, ორი მოპირდაპირე—იაპონია და რუსეთი—თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ერთი მეორეს გვერდითაა გამოჭიმული. შიდა მონგოლიაში იაპონია გზას იკაფავს, ახალ ტერიტორიებს იძენს, გარეშე მონგოლიაში რუსეთი შეძენილ ტერიტორიებს ამაგრებს, მათ ახალ ტერიტორიებს უმატებს და მოპირდაპირეთა საზღვრებიც მომავალში შვიდი ათასი კილომეტრის სიგძეზე გაიჭიმება.

გასულ წელს წყნარ ოკეანეს ნაპირებზე იაპონია-რუსეთს შორის ინცინდენტები მეტად ხშირი, თითქმის ყოველდღიური გახდა. ძლიერი ომის სუნი ატლანტიკის ნაპირამდეც აღწევდა. ზარბაზნებს პირი სასროლად ჰქონდათ დაღებული და მათ დაღებულ პირიდან ჯოჯოხეთური ალი ამოსახეთქად იყო გამზადებული. კაცობრიობა, შორეულ აღმოსავლეთში, დირიჟორების მაღლა აწეულ გაშეშებულ ხელებში, სადირიჟორო ჯოხებს შესჩერებოდა. ყველა გულის ფანცქალით მოელოდა, ხელი როდის დაქანდება, ჯოხი როდის ათამაშდება, ზღვა და ხმელეთი როდის ამეტყველდება. ვინ არ წინასწარმეტყველებდა—აი დღეს-ხვალ—წყნარ ოკეანეს ნაპირები აგუგუნდება, კაცთ ქმნილი ტაიფუნი ამოგორდება?

1904 წელს საფრანგეთის უდიდეს დიპლომატს დელკასეს შეეკითხენ: შორეულ აღმოსავლეთი ღრუბლებით ხომ არ იმოსებაო. შემკითხველი მინისტრები დელკასემ დაამშვიდა. მოქანცული დეკლასეს კოლეგები, ტკბილად გამოსაძინებლად თავიანთი ბინებისკენ გაეშურენ. გამოძინება მათ არ დასცალდა: იაპონიის ტყვიის ქუხილმა გამოაღვიძა.

მას შემდეგ ათმა წელმა განვლო. გლეხი მოსავალს ეწეოდა. მუშა ქარხანაში მუშაობდა. მოხელე კალამს აწრიპინებდა. ედუარდი გრეი უილტშირში თევზებს იჭერდა. ინგლისის სხვა მინისტრებიც ჩამტვერიანებულ ფილტვების გასაწმენდად ლონდონს გაექცენ. გერმანიის კაიზერი ნორვეგიის ფიორდებში დროს ატარებდა. კანცლერი ფრინველებზე და ოთხფეხა ნადირებზე თავის სილეზიის მამულში ნადირობა, გერმანიის საგარეო საქმეთა მეთაური საქორწილოდ მოგზაურობდა, გენერალური შტაბის უფროსი ფონ მოლტკე კუჭს თუ ნერვებს საზღვარგარეთელ კურორტზე წამლობდა. საფრანგეთის პრეზიდენტ პუანკარეს და საფრანგეთის პრემიერს, რუსეთში სადარბაზოთ ჩამოსულთ ნიკოლოზ მეორე და მისი მინისტრები ღიმილით პარიზისკენ აცილებენ. ვის ჰქონდა იმ ხანად წარმოდგენილი, რომ რამოდენიმე დღე გაივლიდა და ჯარის კაცები მილიონობით ფრონტებს მიაწყდებოდენ, რომ ფრანგები 75 მილიმეტრიან ზარბაზნებს, გერმანელები «ბერტას», ინგლისელები ტანკებს აამუშავებდენ, რომ ათ მილიონზე მეტი ხალხი დაიხოცებოდა, რამდენიმე ათეული მილიონი დასახიჩრდებოდა, კაცობრიობა შავი სუდარით შეიმოსებოდა?

ამ ხანათაც იყო წინასწარმეტყველი, რუსეთის დიპლომატი იზვოლსკი; ისიც თოფის გავარდნის წინა დღეებში ირწმუნებოდა, ევროპას ომი არ მოელისო.

დელკასე რუსეთ-იაპონიის ომის წინ, იზვოლსკი დიდი ომის წინა დღეებში ცუდი მარჩიელნი გამოდგნენ. მარჩიელთა რიცხვი უკანასკნელ წლებში განსაცვიფრებლივ გამრავლდა. ვის არ უმარჩიელნია 1934 წელს იაპონია-რუსეთს შორის ომი მოხდებაო. 1934 წელი ისტორიას ჩაბარდა. წყნარ ოკეანეს ნაპირები ჯერ-ჯერობით ომის საშიშროებას გადაურჩა. დიპლომატები თუ კალმის მოწრიპინენი 1934 წლის მიწურულში შორეულ აღმოსავლეთში ომს 1936-37 წლებისთვის ნიშნავდენ.

ვნახოთ, მომავალი რას იტყვის? წინასწარმეტყველთა სიტყვები გამართლდება, თუ მომავალი ომის საშიშროება უფრო შორ დროისთვის გადაჩოჩდება?

ი. სალაყაია.

კარგი პრესა*)

(წერილი პრაღიდან)

15 წლის წინეთ—1920 წ.—ჩეხოსლოვაკიის წითელმა ჯვარმა აღდგომის დღესასწაულებში პირველად გამოაცხადა სამი დღით ზავის ჩამოგდება. ამის შემდეგ ეს ყოველ წელიწადს იმართება. წითელი ჯვარი მიმართავს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს თხოვნით, შესწყვიტონ ამ დღეებში ყოველნაირი პარტიული ბრძოლა და მთელი თავისი აზრი მიმართონ იქითკენ, რაც ყველას აერთებს და აკავშირებს. დროთა განმავლობაში ამ საზავო ზეიმებმა მიიღეს მეტათ ფართო ხასიათი,—გადაუჭარბებლად ვიტყვით—საერთო ეროვნული მნიშვნელობის. ამ ზავის ჩამოგდების გამოცხადება ხდება ყოველთვის დიდ შაბათს პარლამენტის შენობაში დიდის ზეიმით; ესწრება მას ჩვეულებრივ რესპუბლიკის პრეზიდენტი და სახელმწიფოს ყველა წარჩინებული პირები პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებიდგან. ზეიმს ხსნის პარლამენტის თავმჯდომარე (წელს ის გახსნა მისმა ამხანაგმა), მის შემდეგ ლაპარაკობენ მთავრობის წარმომადგენელი (წელს მინისტრი ბენეში) და წარმომადგენელი წითელი ჯვარის.

ეს დღეები რასაკვირველია არ ცხადდება დასვენების და უმოქმედობის დღეებად, პირიქით, ყველას მოუწოდებენ, მთელი ყურადღება და ცდა მიექცეს საზოგადო ღონისძიებებს, ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა რომ აქვს. ამ მიზნით წითე-

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა უადგილობის გამო დაგვიანდა. რედ.

ლი ჯვარი ირჩევს ყოველ წლობით რაიმე ლოზუნგს, რომლის განსახორციელებლად მოუწოდებს მოქალაქეებს. ასეთ ლოზუნგებად წარსულ წლეებში სხვათა შორის იყო: ზრუნვა ჯანსაღი ხალხის აღსაზრდელად, ყველაფერი კარგი ყველაზე უწინ ბავშვებს, პატივისცემა მოხუცებულობას, სისუფთავე ყველგან და ყველაფერში. წელს კი ლოზუნგად გამოცხადდა «კარგი პრესა». ამ ლოზუნგით წითელი ჯვარი ხაზს უსვამს კარგი წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების დიდს მნიშვნელობას ხალხის და ერის ცხოვრებაში.

რაა კარგი პრესა?—ამაზე ის გვიპასუხებს ის არის ზნეობრივად უნაკლო, სწორი ინფორმაციის მომწოდებელი, პატიოსანი მებრძოლი თავის იდეალებისათვის და ხელის შემწყობი დადებითი მუშაობისათვის და შემათანხმებელი ყველა კეთილი ნების მქონე ადამიანებისა. ეს არის პრესა—რომელსაც შეგნებული აქვს და მუდამ ახსოვს აღმზდელობითი დანიშნულება,—ღირსეული ფორმით და სუფთა ენით რომ მიყავს მკითხველები კეთილშობილ აზრისაკენ. პრესა არის სარკე ერის, მაჩვენებელი მისი განათლების და ზნეობის. სუფთა ერს აქვს სუფთა პრესა და სხვ. თუ გვსურს, რომ ეს ჩვენი ლოზუნგი გავრცელდეს მთელ ქვეყნიერებაზე, ვეცადოთ გავატაროთ ის შინ, ჩვენს ოჯახში, ჩვენს მიწა-წყალზე.

ყველა პოლიტიკური პარტიები, ეკლესია ყოველნაირი სარწმუნოების, ყველა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები ეხმარებიან წითელ ჯვარს, რომ ეს სამი დღის ზავი გადაიქცეს არა მარტო უძლიერეს გამწმენდელ მოვლენად, არამედ მას მოყვეს პრაქტიკული შედეგი—ეთიური და სოციალური გაჯანსაღება. და მართლაც ეს დემონსტრაცია გადაიქცა უდიდეს საზოგადოებრივ გამოსვლად და მას მეთაურობს წითელი ჯვარი, ყველა პარტიების გარეშე მდგომი, რომელსაც ენერგიულად მხარს უჭერენ სოციალისტური, დემოკრატიული და სხვა პარტიები. წითელ ჯვარს ყავს მილიონი წევრი და მის მზრუნველობაზეა ნახევარი მილიონი მოზარდი თაობა. თავმჯდომარეა დღიდგან დაარსებისა ქალიშვილი პრეზიდენტ მასარიკის, შეიარაღებული ბრძენი მამის მიერ ბევრი კეთილშობილური მორალური და ჰუმანიური თვისებებით.

«კარგი პრესის» გამოცხადების ლოზუნგს მოყვა დიდი გამოძახილი მიმდინარე პრესაში, დაფასება თანამედროვე პრესის, მოგონება წასულიდგან, ღირსის აღდგენის და მიბაძვის. იყო ერთი პრაქტიკული შედეგიც. პრეზიდენტის დეკრეტით გაშვებულ იქნა სახალხო წარმომადგენლობა შაბათს 20 აპრილს, რადგანაც მას გაუთავდა კანონიერი 6 წელი და დანიშნულ იქნა ახალი არჩევნები. ერთგულნი წითელი ჯვრის ლოზუნგისა, კოალიციური პარტიების თავმჯდომარეები, მინისტრთა თავმჯდომარის და ყველა მინისტრების მონაწილეობით თავს იყრიან და გამოსცემენ მოწოდებას მცხოვრებლებისადმი, რომლითაც ურჩევენ დაიცვან სრული რიგიანობა როგორც კრებებზე, ისე პრესაში მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში.

წელს საზეიმო სხდომას—დიდ შაბათს, 20 აპრილს ქონდა მეტად ღირსეული ხასიათი; სიტყვები იგზავნებოდა რადიოთი მთელ რესპუბლიკაში და ათასეული მასა პარლამენტის წინ უცდიდა ზავის გამოცხადების პროცესს დაჭრილი მეომრების ქანდაკების წინ.

პარლამენტის საზეიმო სხდომას დავესწარი როგორც «დამ. საქ.» კორესპონდენტი. მომხიბვლელი სანახაობა იყო, მზგავსი ღვთის მსახურებისა, სადაც არქიეპისკოპოსი მინისტრების გვერდით მხურვალეთ ტაშს უკრავდა სოციალისტს თავმჯდომარეს და ყველა კი გაერთიანებული იყო ერთი მისწრაფებით—თავისუფალი ეროვნული ცხოვრების შენახვისა. ვფიქრობდით ჩვენს მდგომარეობაზე: ჩვენს სამშობლოში გამეფებულია დიქტატორული პრესა,—მოციქული ძალადობის, სიცრუის, ჭორების, ერთიმეორეზე შეტევის, ის არ არის საქართველოს სარკე, მაგრამ არსებობს მეორე პრესა, ის უნდა იყოს სარკე ნამდვილი საქართველოსი. შეუძლია კი ქართველ ემიგრაციას სთქვას, რომ მას აქვს კარგი პრესა, სუფთა პრესა? ქართული ორგანო, რომელიც ჩვენს დღევანდელ პიროობებში ქადაგებს გათიშვას და დაშლას, მოკლებულია ობიექტიური მსჯელობის უნარს და არ ძალუძს თავის თავი დააყენოს გაერთიანებული ეროვნული ძალების სამსახურში,—ასეთ ორგანოს არ შეუძლია, ამ თვისებით დაიკვეხნოს. ვისურვებდით კი, რომ ჩვენს პიროობებშიც გაემარჯვებიოს «კარგი პრესის» ლოზუნგს.

ემ. ლ—ძე.

კომუნისტები საქართველოში

(ყოფილი კომუნისტის მოგონება)

დისკუსია ჩქარა ამოიწურა და კრემლის ბრძანების შესრულებას შეუდგა კოოპერაცია და საბჭოთა აპარატი. არავითარი არგუმენტები ქართველიშვილზე და იაკოვლევზე (ამ. კავკ. მეორე მდივანი) არ მოქმედობდა. მათ ამოძრავებდა კარიერიზმი და ხარბი სურვილი სტალინის წინაშე დამსახურების. კოოპერაციის «დასახმარებლად» ჩამოზვავდა მრავალი მფრინავი ბრიგადები: დონბასიდან, მოსკოვიდან, ურალიდან და სხვ. მთელი საქონელი განადგურდა და გეგმა მაინც არ სრულდებოდა. ხელმძღვანელების სამარცხვინოთ საჭირო შეიქმნა მათთვის გვემტკიცებია, რომ მოსაგები (მაკე) საქონლის დახოცვა ხორცისთვის დაუშვებელია. ამ ცდებმაც უნაყოფოთ ჩაიარა, ხვალინდელ დღეზედ არავინ ფიქრობდა. სასაკლაოები მუშაობდა დღე და ღამე, გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა, თუმცა-სოფელი გაცალიერდა. საკითხი დადგა ხორცის შენახვაზე და ტრანსპორტზე. არ იკმარა საყინულეებმა და არც სპეციალურმა ვაგონებმა გადასაზიდად და ნახევარზედ მეტი ხორცი წახდა, მოახდინეს ახალი ბრიგადების მობილიზაცია დასამარილებლად, მაგრამ გაფუჭებულ ხორცს ვერც მარილმა უშველა... ამ გაფუჭებულ ხორცს ურიგებდენ ადგილობრივ კოოპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციაში მუშებს. ხორცი იმდენად ყარდა, რომ კოოპერატივში კაცი ვერ შევიდოდა, მაგრამ მოთმინებიდან გამოსული მუშების ცოლები მაინც მივიდენ კოოპერატივში, მილეწეს რაც კი იყო გასატეხი და კოოპერატორებიც დალახეს.

დამშეულ გლეხებს ჩამოუტანეს დამპალი სიმინდი ჩრდილოეთ კავკასიიდან, მან გააჩინა პელაგრა და ბევრი ხალხი იმსხვერპლა. ამნაირად «აკავშირებს» საბჭოთა ხელისუფლება მწარმოებელსა და მომხმარებელს. ასე პირში ჩალა გამოვლებული დარჩა გლეხი და მუშაც.

სწორეთ ასეთი გლეხების გაძარცვის შემდეგ სტალინი ჩამოვიდა დასასვენებლად წყალტუბოში (ივლისი 1931 წ.). წყალტუბოდან ზუგდიდში გაისეირნა ავტომობილით, მაგრამ როცა ღამით უკან დაბრუნება უნდოდა, ზუგდიდის ხელისუფლებამ მიიღო ცნობა გლეხების აჯანყებაზე და გზა, რომლითაც სტალინი უნდა დაბრუნებულიყო, აჯანყებულებს ეკავათ. ზუგდიდელებმა ვახშამი გააჭიანურეს და ფიქრობდენ, რომ სტალინს ღამეს იქ გაათევინებდენ და ამ დროს გზას გასწმენდდენ აჯანყებულებისაგან. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, სტალინი მეღამურაა, მან მოინდომა წასვლა და სტუმართ-მოყვარე მასპინძლებს მეტი არაფერი დარჩენოდათ, რომ ეთქვათ უსიმინდოთ დარჩენილ გლეხების მშიერ აჯანყებაზე. განრისხებულმა სტალინმა ტელეფონით გამოუძახა ტფილისს, გადაადგენა ამ.-კავ. საოლქო კომიტეტი, საქართველოს ცეკა და სახკომსაბჭო დამზადების ცუდად ჩატარებისათვის. ხოლო აჯანყებული მშიერი გლეხები სასტიკად დასაჯა. სტალინი «უცოდველი» მსაჯულია, ის ყოველთვის «მართალია». ზემო აღნიშნული დამზადების დროს მოხდა აგრეთვე აჯანყება გუდაუთის რაიონში.

1930 წლის დეკემბერში მე ვიყავი მივლინებული ქურდამირის რაიონში ბამბის დამზადების სახელმძღვანელოდ. იმ დროს ამ.-კავკასიაში ბამბის ავრალი იყო გამოცხადებული. ბამბა მოუგროვებელი არსად დარჩენილა, მაგრამ გეგმა მაინც არ სრულდებოდა. სპეციალურ მატარებლით მოსკოვიდან ჩამოვიდენ, როგორც ბამბის დამზადების მეთვალყურენი ამიერკავკასიაში, კრემლის რწმუნებულები უნშლიხტი (ეხლანდელი ჰაეროვანი ფლოტის უფროსი) და არტიუხინა. უნშლიხტს მატარებელზე მობმულ ბაქანზე ორი ავტომობილი ჰქონდა, ის და მისი ჩეკისტები ავტომობილზე მჯდარი ნადირობდნენ ადერბაიჯანის ველებზე. უნშლიხტს მე გავაცანი ბამბის დამზადების მდგომარეობა ქურდამირის რაიონში და განუმარტე, რომ გეგმა, როგორც არა რეალური, ვერ შესრულდება მეთქი. სოფელში მოგზაურობის დროს გვხვდებოდენ საბანმოხურული გლეხები. უნშლიხტმა იფიქრა, ამერიკა აღმოვაჩინეო და თავმომწონეთ გვითხრა: გეგმა აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული, რადგან გლეხები საბანმოხურული დადიან, ალბათ მათ ბევრი საბნები აქვთ, უქნათ რეკვიზიცია საბნებს, ოჯახზე მხოლოდ ერთი საბანის დატოვებით და გეგმა გადასრულებულიც იქნებაო... ადერბაიჯანში ხშირად ნახავთ ოჯახს ოცი სულისაგან შემდგარს და ხელგაშლილი უნშლიხტი ფიქრობდა, რომ ასეთი ოჯახი ერთი საბნითაც იოლად წავაო. ეს თავისი უსირცხვილობით შეუდარებელი უნშლიხტის წინადადება ჩვენ არ მივიღეთ, არტიუხინამაც მხარი დაგვიჭირა და გლეხების საბნები გადავარჩინეთ.

ჩაისა და ციტროვანი კულტურებზე გეზის აღება ჩვენში დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს თეორიულად. ხოლო ამ უკუღმართი ხელისუფლების დროს, ამ კულტურების ჩვენ მეურნეობაში შეჭრამ გლეხი კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩააყენა, შედარებით მასთან, ვინც ექსტენსიურ კულტურებს მისდევს. საქმე იმაში არის, რომ გლეხს აუკრძალეს სიმინდისა და პურის დათესვა. აიძულეს შემოეღო მის მეურნეობაში: ჩაი, მანდარინა, ფორთოხალი, რამი, თამბაქო, სოია, ბამბა და სხვა. გლეხი ვალდებულია ყოველივე ამის მოსავალი მთავრობას ჩააბაროს, ხოლო მთავრობა გლეხს,—როგორც სამაგიერო ეკვივალენტს,—პურეულობას ვერ აწვდის საკმაო რაოდენობით და ვერც დროზე. ამნაირად, იმის მაგივრად რომ ინტენსიურ კულტურებზე გადასვლით ჩვენი სოფლის კეთილდღეობას ზევით სვლის ტენდენცია დატყობოდა, ის საგრძნობლად დაქვეითდა. ხსენებულ კულტურებში მთავარი ყურადღება ჩაის ექცევა, ხოლო მისი გეგმა ძალიან შორს არის შესრულებისგან. გათვალისწინებულ გეგმით უნდა ყოფილიყო მზად ასი ათასი ჰექტარი, მზათ არის 32 ათასი ჰექტ., ხოლო 32 ათასი ჰექტარიდან ძალიან საეჭვო ხარისხის არის 15 ათასი ჰექტარი და მის მოსავლიანობაზე იმედის დამყარება მეტად უნუგეშოა. მანდარინამ ჩვენში მიაღწია საუკეთესო ხარისხს, კარგი ჯიშის ფორთოხალის შექმნა ჯერ ვერ არის მიღწეული, თამბაქო ზუგდიდისა და ანაკლიას რაიონებში არაფრით ჩამოუვარდება სოხუმისას. რამი კარგი ხარისხისაა.

სამელიორაციო და საირრიგაციო დარგებში საქართველოს აქვს პატარა მიღწევები. ალაზნის საირწყავი არხი კარგად დაგეგმილი და კარგი ხარისხის ნამუშევარი გამოდგა, ხოლო მის ამშენებელ ქართველ ინჟინრებს მავნებლობა დასწამეს და გაუსამართლებლად ციხეში ჩაყარეს. ტირიფონის არხი უფრო ნაკლები ხარისხის არის, რადგან ლიახვმა რამდენიმეჯერ დააზიანა არხის სათავე და ბეტონის მილები. ეს არხი კარგ პერსპექტივებს შლის ტირიფონის ველის წინ, სადაც დიდი მომავალი აქვს მაღალ ხარისხოვან მებაღეობას. მეშველის არხიც, რიონზე, დამაკმაყოფილებლად მუშაობს. იყო პროექტები სამგორისა და ელდარის ველების მორწყვის და შირაქში წყალსადენის (სასმელი წყალი) გაყვანის, სამწუხაროდ არ შემიძლია ვთქვა, რა ბედი ეწვია ამ პროექტებს. კოლხიდის ჭაობების გაშრობა ძალიან არადამაკმაყოფილებლად მიდის, ეს სამუშევრები მოითხოვს დიდ თანხას, ხოლო იმ პატარა თანხებით, რომელსაც ცენტრი იღებს, ამ დიდი სამუშაოების წარმატებით შესრულება ყოვლად შეუძლებელია. ბევრს ლაპარაკობენ, მევრ ფელეტონებს სწერენ და შედეგები კი მეტის მეტად სუსტია. ალბათ კოლხიდის ჭაობების გაშრობა და მისი აყვავება თავისუფალ საქართველოს მოუხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკუპანტების ხელისუფლება ჩვენ ტყეებს ველურად ანადგურებს. ფილიპე მახარაძე ტყეების განადგურებას ძალიან ენერგიულად ებრძოდა, მაგრამ როცა მოსკოვმა საქართველოს ტყის მრეწველობა ცენტრს დაუმორჩილა, ფილიპეს პროტესტებს გასავალი აღარ აქვს. ტყეების განადგურება დიდ ზიანს უქადის ჩვენს მომავალს და თუ ეს ტემპი დიდხანს გაგრძელდა, ჩვენი საამაყო ტყით შემოსილი მთები ტიტველ კლდეებად იქცევა. გზების მშენებლობა საქართველოში მეტად სუსტია. კარგად მოვლილია მხოლოდ სამხედრო (ტფილის-კავკავი) გზა და ძალიან დაზიანებულია სამხედრო ოსეთის (ქუთაისი-მამისონი) გზა. სვანეთისა და ბახმაროს მიმართულებით პრიმიტიულ გზებს აშენებდენ.

მრეწველობის დარგში არაფრით შეუძლია დაიკვეხნოს საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში. ამ დარგში კრემლის პოლიტიკა ვერ გა'ცილებია მეფის პოლიტიკას. სტალინი ამჯობინებს საქართველოდან ყველაფერი გაიტანოს და გამოფიტოს ის, ვინემ იქ რამე კაპიტალური შექმნას. ააგეს რამდენიმე იაფი აბრეშუმის სახვევი ქარხანა, ხილის საშრობი ქარხნები, კონსერვის ქარხანა გორში, ბარიტის წისქვილი ქუთაისში, მაუდის ქარხანა ტფილისში, ძალიან საეჭვო ხარისხის, მოდა გასული ძველი ძველი მანქანებით, ცემენტის ქარხანა კასპში; კარგი ხარისხის ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა ბათომში, კაპიტალური სადგურებია: ზაპესი, რიონჰესი, აბჰესი; შენდება სადგური აჭარის წყალზე. აჭარის წყალზე პირველი სადგურის მშენებლობას დიდი მარცხი მოუვიდა ორჯონიკიძის წყალობით. რუსეთიდან ჩამოვიდა ვიღაც ავანტიურისტი ინჟ. ბაშინსკი და შეადგინა პროექტი მომავალი სადგურის აჭარის წყალზე, ბათუმიდან 30 კილ. მანძილზე, ხულოს მიმართულებით. ჩვენმა ინჟინერებმა უარყოფითი დასკვნა მისცეს ბაშინსკის პროექტს. ბაშინსკიმ იცოდა ორჯონიკიძის დეგენერატობა და უთხრა მას, რომ ქართველი ინჟინერები ნაციონალისტებია და სემი პროექტის წინააღმდეგი მიტომ არიანო. ორჯონიკიძე ყოველთვის მოხარულია მხარი დაუჭიროს ბაშიბუზუკებს ქართველების წინააღმდეგ და დაამტკიცა ბაშინსკის პროექტი. ოთხი წლის განმავლობაში მუშაობა წარმოებდა, 9 მილიონი დაიხარჯა და მოდიდებულმა აჭარის წყალმა წალეკა მთელი ნამუშევარი. ამის შემდეგ დაიწყეს სადგურის შენება იმ ადგილას, სადაც ქართველი ინჟინერები ურჩევდენ. იყო პროექტი მეტალურგიის კომბინატის შექმნის ორპირში, სადაც დაშკესანიდან რკინის მადანი მოიზიდებოდა და ტყვარჩელიდან ნახშირი. მოსკოვმა მისი განხორციელება არ ისურვა, სტალინისათვის უფრო ხელსაყრელია ურალზე გამაგრება, მას ურჩევნია კუზნეცკსტროი და მაგნიტოგორსკი. ფერროომანგანის ქარხანა, ზესტაფონში, დღევანდელ პირობებში საქართველოსთვის მაზარალებელია, რადგან ის უადვილებს მოსკოვს მარგანეცის გაზიდვას უცხოეთშიც და რუსეთშიც და მით აჩქარებს ჭიათურის მადნის გამოფიტვას.

სწავლა-განათლების დარგში თვალსაჩინო მიღწევებია. მართალია, ხარისხი სწავლის დაბლა დგას, როგორც საშუალო ისე მაღალ სკოლაში, მაგრამ ვიწრო სპეციალიზაციის ინსტიტუტებმა და უნივერსიტეტმა მრავალი სპეციალისტები მისცა საქართველოს. უმაღლეს სწავლა მიღებულად იმათი ჩარიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ძველ საშუალო ტექნიკუმების დამთავრებულებს კი უდრიან. რადგან სასწავლებლების რიცხვი ძალიან გაიზარდა, გამოცდილი პედაგოგიური კადრების დიდი ნაკლებობაა. ძალიან ჭირს აგრეთვე მოსწავლეთა სახელმძღვანელო ნივთებით უზრუნველყოფა. ქართული ენა სკოლაში ძალიან მტკიცედ დგას. რუსოტიაპებს ძალიან უნდოდათ რუსული ენისთვის უპირატესობა მიეცათ ქართულის წინაშე, მაგრამ მიუხედავად მათი დიდი ცდებისა, რუსული (რუსოტიაპები ოქტომბრის ენას ეძახიან) ენა საგანს ვერ გასცილდა. რამდენად მეტად დააწვენ რუსულ ენას, იმდენად უკეთ შეისწავლა ახალგაზდობამ ქართული ენა. საქართველოში ხშირად ჩამოდიოდენ უცხოელი დელეგაციები. მათი გამრთობი ყოველთვის ჩეკისა და კომინტერნის აგენტებია, ხოლო დელეგატებს მათ აცნობენ როგორც ქარხნების მუშებს. რა თქმა უნდა დაცდილი ჩეკის აგენტები თვალთმაქცობას არ დააკლებენ და ანახვებენ ისეთ ბრჭყვიალა რამეებს, რაც სათანადო აგიტაციის გაწევით «მონათლავს» შეზარხოეებულ დელეგატებს. ნაცრის თვალში მიყრა მასპინძლებს ძალიან ეხერხებათ, ამისათვის მატერიალური მდგომარეობაც ხელს უწყობს ხოლმე. საბჭოთა ქვეყანაში საიდუმლო ფონდები აღემატება ოფიციალურ ფონდებს. როგორც საბჭოთა საზღვარზე ფეხს გადადგამს დელეგაცია, ის მოგზაურობს უფასოთ საუკეთესო ვაგონებში და იკვებება უფასოთვე ისე, როგორც ევროპაში მხოლოდ კაპიტალისთვისთვის არის ხელმისაწდომი. მარცვლოვან ხიზილალას ღრმა თეფშებით მიართმევენ და ძველ კონიაკებს, შამპანიურებს და კახურ ღვინოებს ხომ ანგარიში არა აქვს. უკან დაბრუნებისას თითო ყუთს საჩუქრებს «მეგობრულად» და «მორიდებით» მიართმევენ. ყველაფერი ეს მუშების სახელით ხდება და ერთგვარ ეფექტს ტოვებს. კომინტერნის ნაძირალებისთვის უფასო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია. კისლოვოდსკში დიდი ვეებერთელა სანატორიუმი იყო მიჩენილი გერმანელი კომუნისტებისთვის და ასე სხვებისთვისაც. მოგზაურობენ უფასოთ, ექიმობენ უფასოთ, ქეიფობენ უფასოთ. რატომ არ უნდა აქონ «პროლეტარიატის» დიქტატურა? მართალია ზოგს ენტუზიასტებს სოლოვკაც აჩვენეს.—საბჭოთა და პარტიული აპარატი გაჟღენთილია კრიმინალიზმით. ბოროტმოქმედებაში მას ვერ შეედრებიან მეფის განთქმული მოხელეები. არავითარი დეკრეტები, სახელმწიფო და საზოგადო ქონების წმინდათა წმინდად გამოცხადების, საქმეს არ შველის. მაღალი მოხელეების უპასუხისმგებლობა და დაბალი მოხელეების სიმშილი არის ყველა უბედურების საფუძველი საბჭოთა აპარატში. ნამდვილ ავაზაკებს, მსხვილ ბობოლებს, საბჭოთა ხელისუფლება ხელს არ ახლებს, ან და თუ ხელს ახლებს, იმ აზრით, რომ ზევით ასწიოს სამსახურში. სამაგიეროთ «მეისრეებს» ხვრეტენ და გამოაქვთ ბარბაროსული განაჩენები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისთვის, რომ შიშის ზარი დასცენ ხალხს დაშემოსძახონ სტალინს ალილუია სახელმწიფო და საზოგადო ქონების წმინდათა უწმინდესობაზედ. აი სულ რამდენიმე მაგალითი: 1929 წელში სახკომსაბჭოში აღმოჩნდა გაფლანგული საიდუმლო ფონდიდან ოთხ მილიონ მანეთზე მეტი. ნამდვილი გამფლანგველები ამ თანხის იყვნენ: სიმონ ჯუღელი, დავით კანდელაკი, ლევან ღოღობერიძე, გერმანე მგალობლიშვილი, კოლია ბახტაძე, სამსონ მამულია, სტეფანინანი, ალ. ერქომაიშვილი, ამირაღოვი, კოლია სვანიძე, ხოლო ბოროტმოქმედების კვალი რომ დაემალათ, დახვრიტეს ჩეკაში, გამოუცხადებლად, საიდუმლო ფონდების გამგე ბუღჰალტერი და მას მოახვიეს თავზე ეს გაფლანგვა. 1930 წელში ჯუღელი წყალტუბოში ისვენებდა, ხოლო საქეიფოთ ყოველ დღე ავტომობილით ვარციხის მამულში ჩადიოდა. ერთი მორიგი ქეიფის დროს მასთან მივიდა მამულის მუშა (უჯრედის მდივანი) და მორიდებით უთხრა, მისი ხშირი ქეიფი სახელმწიფო მამულში ძალიან ცუდად მოქმედობს მამულის მშიერ მუშებზე და კარგი იქნება, რომ ასე აშკარად არ ხდებოდეს ესო. ჯუღელმა იქვე მოჰკლა ეს მუშა მაუზერით. საქართველოს პარტიულმა სასამართლომ გამორიცხა ჯუღელი პარტიიდან. ორჯონიკიძემ ჯუღელი გაიწვია მოსკოვში, პარტიაში აღადგინა, საქარ. პარტიულ სასამართლოს საყვედური გამოუცხადა და ჯუღელი დანიშნა საკავშირო ტყის მრეწველობის გამგეობის წევრად, რამდენიმე თვის შემდეგ ჯუღელი დანიშნეს ამ.-კავ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ, ეხლა ის ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარეა.

დავით კანდელაკმა, განათლების კომისრად ყოფნის დროს, სამნეო ნაწილის გამგესთან კავშირი გააბა და ორასი ათასი მანეთი მოიპარა, მაგრამ ვინც მისი ბოროტება აღმოაჩინა, ის დახვრეტას ძლივს გადაურჩა. ამავე კანდელაკმა საზღვარ გარეთ სამუშევარი იმით დაიმსააურა, რომ საქართველოს მუზეუმის უნიკუმები, უცხოეთში გასასყიდათ როზენგოლცს (საგარეო ვაჭრობის კომისარიატი) ჩააბარა. კანდელაკს ბერლინის რესტორანებშიც კარგად იცნობენ. ის ხშირად საუზმეზედ ორასი მარკის ხიზილალას მიირთმევს, სრულიად დარწმუნებული, რომ ხიზილალა შაქრის ავადმყოფობას უხდება.

ოცი წლის ყმაწვილი, ფოსტის მოხელე, გეგეჭკორი დახვრიტეს 600 მანეთის გაფლანგვისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მან სამსახურის ასრულების დროს მარჯვენა მკლავი დაკარგა, ხოლო სახელმწიფო ქონება ავაზაკებს არ დაანება. ამას გარდა, ის წვრილი ოჯახის მრჩენელი იყო, რადგან მამა მისი, მისი დახვრეტის ერთი თვის წინ, ავტომობილმა გაიტანა.

კირილე კაკაბაძე.

წერილი ამერიკიდან

ყველასთვის ნათელია, რომ, თუ ევროპის პოლიტიკოსები კრემლისკენ იცქირებიან, მათთან მეგობრობას აბამენ, პაქტებს სწერენ, ერთა ლიგაში მოყავთ, და სხვა, არა იმიტომ, რომ საბჭოები შეიცვალენ საუკეთესოდ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოების გადაბირებ-გადმობირება თითქოს საჭიროა ძალების დარაზმისთვის, სხვის შესაშინებლად, გულში კი ყველა წყევლის. ეს კარგად სჩანს ამერიკის პოლიტიკიდან, სადაც არ არის ასეთი ძებნა «მეგობრებისა». ამერიკას ბუნებამ არგუნა, გეოგრაფიულ განცალკევების გამო, დამოუკიდებელი, ან თითქმის დამოუკიდებელი, პოლიტიკა აწარმოოს.

აქაურმა მთავრობამ შინჯა საბჭოებთან მეგობრობა, მაგრამ სარგებლობა ვერ შეატყო და საქმე შენელდა. ჩვენ უკვე ვწერდით («დამ. საქარ.» № 111), აქაურმა მთავრობამ როგორ უჩვენა კარი მოსკოვის წარმომადგენელს. ვწერდით აგრეთვე («დამ. საქ.» № 109), რომ სენატის უწყებაზეა კითხვა რუსეთთან დამოკიდებიდულების შეწყვეტის... შესაძლებელია კონგრესი ასე შორს არ წავიდეს, მაგრამ ეს მაჩვენებელია სულისკვეთების. სამაგიეროდ პრესა არ სცხრება ბოლშევიკების წინააამდეგ საერთოდ და განსაკუთრებით რუსეთის მდგომარეობის გამუქებაში. იმართება ლექციები იქიდან მოსული პირების მიერ. იბეჭდება წიგნები, წერილები ჟურნალ-გაზეთებში და სხვა. უკანასკნელ დროთა ლიტერატურაში საყურადღებოა: კარვეთ ველლსის წიგნი «კაპუტ»; «აღწერა მოგზაურობისა ლენინგრადიდან არარატამდე». ეს ცნობილი მოგზაური და ამწერი აფრიკის, სამხრეთ ამერიკის და ლაპლანდიის, გამოგზავნილი იყო ჩიკაგოდან ამერიკის გეოგრაფიულ საზოგადოების კლუბის მიერ. წიგნი შეიცავს 264 გვერდს, სურათებს და რუკას...

თავის წინასიტყვაობაში ველლსი სწერს: «მე არასოდეს არ მეგონა, რომ ადამიანი ასე დაქვეითდებოდა, ასე ჩაიძირებოდა და ასე დაკარგავდა თავის ადამიანობას, როგორც ეს მოუხდენია კომუნისტების ექსპერიმენტებს... მთელი ჩემი მოგზაურობა იყო კოშმარი საძაგელი თავგადასავლების... მთელი ტრაგედია რუსეთისა ის არის, რომ ახლანდელი მოდგმა ახალგაზდა კომუნისტებისა ისე უგუნურია და უვიცი იმის, თუ როგორ სცხოვრობს დანარჩენი ქვეყანა, რომ არ იცის, რომ მისი სტანდარტი ცხოვრებისა არის უმდაბლესი ყველა სხვა ქვეყნებისაზე»-ო. ოცი გვერდი ამ საინტერესო წიგნისა დათმობილი აქვს ხევსურეთის პრიმიტიულ ცხოვრების აღწერას. «ხევსურეთი არის მხოლოდ კუთხე საბჭოების ქვეყანაში, სადაც კომუნისტების ხელისუფლება არ განაგებს და ვერ ჰკრეფს ხარკს...»-ო. უმეტესი ნაწილი წიგნისა შეიცავს დამშეულ, შიშველ-ტიტველ, ზარდაცემულ და დამონებულ ხალხის მდგომარეობის აღწერას. წიგნს ასე ათავებს: «ბოლოს ჩვენ მზად ვიყავით ბილეთები ჯოჯოხეთისკენ აგვეღო, ოღონდ გამოვსულიყავით კომუნისტების ნაგავიდან... როცა ფინლანდია-რუსეთის საზღვარს გადავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდით, ერთმა მოვლენამ გაგვამხიარულა: ჩვენმა მატარებელმა გადაიარა ნახევარი ნაწილი ხიდის, რომელიც წითლად იყო შეღებილი, და შეჩერდა თეთრად შეღებილ ფინლიანდიის ნაწილზე. მატარებლის მოგზაურები უცბად წამოცვინდნენ, მიიდვეს ხელები ცხვირზე და აჩვენეს სიცილ-ხარხარით წითელ ყარაულებს, რომელნიც ხიდზე იდგნენ, და ფარულ პოლიციელებს, რომელნიც მატარებლიდან ესეც იყო ჩამოხტნენო... საზღვრიდან ასი ნაბიჯის მანძილზე თითქოს განგებ ფინლიანდიელებს მოწყობილი აქვთ საუკეთესო რესტორანი სავსე ყოველნაირ საჭმელებით და ხილეულობით.—ჩვენ დავემსგავსეთ—თუ გინახავთ—დამშეულ ღორების ჯოგს, რომელიც ესეოდა ახალ მოტანილ საჭმელს...»

არ გამოუდგებით ბევრ სხვა საინტერესო წიგნებს დაწერილს ამერიკელების და რუსების მიერ. უკანასკნელთა შორის საყურადღებოა ალექსანდრა ტოლსტოის, ცნობილ მწერალის ქალიშვილის, წიგნი სათაურით: «მე ვიმუშავე საბჭოებისთვის»...

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, რომ მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები ამჟამად რუსეთიდან დაბრუნებულ ამერიკელ მოწინავე კომუნისტების წერილებიდან. ანდრია სმითმა და მისმა ცოლმა მოათავსეს «ნიუორკის ჟურნალ» ის ივნისის ნომრებში, პირველმა თოთხმეტი და მეორემ ოთხი წერილი დღევანდელ რუსეთის მდგომარეობაზე. ეს იმიტომაა უფრო საყურადღებო, რომ ავტორები არიან, თუ იყვნენ დღემდის, აქტიური მუშა კომუნისტები თექვსმეტი წლის განმავლობაში. ა. სმითი არის სლოვაკი უნგრეთიდან, 51 წლისა, ჩამოსული 28 წლის წინედ. ჯერ იქ სამშობლოში თავის ახალგაზდობაში იყო ლიდერი მაღაროების მუშების მოძრაობისა და გაფიცვებისა. ამერიკაშიც მალე გამოიჩინა თავი. იყო მდივანი ამერიკის სლოვაკების საზოგადოებისა და კორესპონდენტი მათი გაზეთის. 1919 წელში ჩაირიცხა კომუნისტების პარტიაში და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა მათ ორგანიზაციაში. 1929-ში გაგზავნილ იქნა რუსეთში სხვა მუშათა დელეგატებთან ერთად რევოლუციის 12 წ. თავზე მოსკოვის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. დაბრუნებისას მოათავსა გაზეთებში ბოლშევიკების დიდი საქებარი წერილები. ეწეოდა მათ სასარგებლოდ პროპაგანდას და მართავდა ლექციებს. 1932 წელს თავისი ქონება (ხუთი ათასი დოლარი) მისცა აქაურ კომუნისტურ პარტიას და თვითონ თავის ცოლით წავიდა რუსეთში სამუდამო საცხოვრებლად, რომ მხურვალე მონაწილეობა მიეღო სოციალისტურ მშენებლობაში. როგორც კარგმა ტექნიკოსმა მუშამ და კომუნისტმა სმითმა მალე მიიღო საპასუხისმგებლო ადგილი...

«ორ ნაირად შეიძლება რუსეთის ნახვა, იწყებს თავის წერილს სმითი, ისე როგორც შეიძლება ორნაირად ნახვა ციხესი—ნახო როგორც სტუმარმა და როგორც ტუსაღმა, მე ვნახე რუსეთი ორივენაირად 1929-ში როგორც «საპატიო სტუმარმა» და 1932-1935 წლებში როგორც მონაწილემ დამწყვდეული ხალხისა... «1929 წლის ოქტომბერში, როცა მოვხვდი 48 მუშა დელეგატთა შორის, ბედნიერად ვრაცხდი ჩემ თავს. დელეგატებში ვიყავით მხოლოდ 8 კომუნისტი. ჩვენ ხშირად გვქონდა ფარული კრებები გზაში, რომ მოგვემზადებია და პროპაგანდა გაგვეწია დანარჩენ წევრთა შორის. ბელოოსტოკში, ფინეთ-რუსების საზღვარ-სადგურზე, ჩვენ მიგვიღეს ისე როგორც გამოჩენილი უცხოეთის დიპლომატები. დაგვხდენ ჯარით, აუარებელ საჭმელ-სასმელით. ლენინგრადში—დემონსტრაციები, სიტყვები, მისალმებები... წაგვიყვანეს სასტუმრო «ევროპა»-ში, რომელიც, გვითხრეს, მხოლოდ მუშებისთვის არისო. დაგვატარეს საუკეთესო ავტომობილებში მუზეუმის, ქარხნების, ბავშვთა ოჯახების და სხვათა სანახავად. ყველგან უფასო სამსახური: გაკრეჭა-გაპარსვა, ფეხსაცმელის წმენდა, სარეცხი და სხვ. ასე ექცეოდენ სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მუშების დელეგატებსაც. ქარხნებში გვითხრეს—აქ მუშა არის ნამდვილი პატრონი თავის თავისო. აქ არ არის უფროსი, ან ზედამხედველი, ყოველი მუშა თავისუფლად მუშაობს. მასთან მუშა უზრუნველყოფილია, აქვს აუარებელი პრივილეგიები და სხვა... საღამოებს ვატარებდით ბანკეტებზე. ჩვენ გვეგონა, ასეთი იყო ყოველდღე ცხოვრება რუსეთის მუშებისა და გვეხარებოდა. მართალია, ხანდახან წავაწყდებოდით უცნაურ მოვლენებს, მაგალითად ვნახეთ ქალები მძიმე სამუშაოზე, მაგრამ მაშინვე აგვიხსნეს, რომ ისინი იღებენ დიდ ჯამაგირს და რადგან საბჭოების ქვეყანაში ყველა თანასწორია, ქალებს არ უნდათ კაცებს ჩამორჩენო და სხვა...

«გამოვედით საბჭოების სამოთხიდან, როგორც შემდეგ გავიგე, მოტყუებული. ამერიკაში დაბრუნებისას ჩავები მხურვალე კომუნისტურ პროპაგანდაში და ბოლოს გადავსწყვიტე, ჩემი ცოდნა და ძალა შემეწირა სოციალისტურ ქვეყნისთვის...

«პირველი ცივი შეხვედრა ისევ იქ იყო, სადაც ასე დიდებულად შეგვხდენ 1929-ში. ახლა დაგვხვდა უხეში მოხელე, ამოგვიყარა ყველაფერი ტალახზე, არ დაგვიტია ჯიბეები გაუჩხრეკლად. შევეტყვე ზოგიერთებს ასე სასტიკად არ ეპყრობოდენ. ვკითხე მიზეზი ერთ ნაცნობ მოგზაურს. მიპასუხა—თქვენც მიგეცათ ორი-სამი დოლარი, და ყველაფერი ადვილად ჩაიარდაო. დავიწვი სირცხვილით, მაგრამ ცუდი აზრები შორს გავიფანტე... ვაჩვენე ჩემი მოწმობა, რომ 5.000 დოლარი შეწირული მქონდა კომუნისტურ პარტიისთვის და დარჩენილი ასი დოლარი ვსთხოვე დაეხურდავებია. ამაში მივიღე 197 მანეთი და მოწმობა, რომ «ტორგსინში» ამ ფულს ოქროს ფასად მიიღებდენ. სამი კვირის მერე წარვადგინე ეს ქაღალდი, მაგრამ მითხრეს, ეხლა სხვა განკარგულება არისო, ასე რომ ჩემი ასი დოლარი მარტო ორი დოლარის ფასად გადაიქცა...

«მოსკოვის «ელექტროზავოდ»-ში, სადაც მე ვმუშაობდი, საკვირველი სისტემა ვნახე. 24.000 მომუშავე ორ კლასად იყვნენ დაყოფილნი: ინტელიგენტური და უბრალო მუშები. სადაც პირველთ უშვებდენ, იქ მეორეებს არ შეეძლოთ შესვლა. ეს თითო კლასი იყო დაყოფილი ცხრა კატეგორიად. კატეგორიებში განსხვავება იყო ხელფასში და სურსათ საჭმელის მიღებაში. უმეტესობის ხელფასი ისე მცირე

იყო, რომ არ ყოფნიდათ საჭმელისთვის, რომელიც ისეთი საძაგელი იყო, რომ მსგავს ამერიკაში ღორებსაც არ აძლევენ...

«მუშაობის პირობები და სისტემა იყო აუტანელი. ქონდათ შემოღებული ნაჭრობით სამუშაო, იმისთანა მექანიკურ განყოფილებებშიც, სადაც წარმოუდგენელი იყო სწორი ანგარიში და დაფასება. ამ სისტემას ყოველ ქვეყნებში მუშები ებრძვიან და მეც მალე პროტესტი განვაცხადე, რასაც მოყვა ჩემი თვიურ ჯამაგირზე გადაყვანა და მდგომარეობის გაუმჯობესობა, მაგრამ რუსების მუშებისთვის ისევ ის დარჩა. მუშებს რომ საჭმლის საყოფნი ხელფასი მიეღოთ, ათი და მეტი საათი უნდა ემუშავათ დღეში. მერე კი «მოხალისედ» ან «სუბოტნიკად» უფასოდ უნდა ემუშავათ. წინაამდეგობისთვის «დამნაშავე« შავ დაფაზე იწერებოდა და სასტიკად ისჯებოდა. მე ბევრი რამ ცუდი მინახავს უნგრეთის მაღაროებში და თვითონაც დავსჯილვარ იქ, მაგრამ არ მინახავს ასეთი სასტიკი და უხეში სისტემა, რომელიც დაწესებულია სტალინის მიერ. საბჭოების მთელი სისტემა აგებულია ძალდატანებაზე. ტყუილებია და ბოლშევიკების პროპაგანდაა, ვითომც რუსეთში თავისუფლებაა მუშისთვის. პირიქით, ძალადობითი და ფეოდალური სისტემაა ყველგან. მუშის კვნესის გამგონი არავინა არის... მინახავს ავადმყოფი მუშები, აწეული სიცხით რომ იძულებული იყვნენ ემუშავათ. მუშების სიცოცხლე არაფრად ფასდება. საერთოდ, ადამიანის სიცოცხლე უიაფესი საგანია საბჭოების ქვეყანაში. პრესა სდუმს, არ ამხილებს მუშების გაჭირვებას. პრესამ კარგად იცის, როგორ ხშირად «იკარგებიან» მუშები სამუშაოდან და სახლებიდან, მაგრამ ამის გამომძიებლობას ვერ ბედავს... ერთხელ გასამართლებას დავესწარი. პასუხისგებაში იყო მიცემული ათი ახალგაზდა 19-22 წლისა—მანქანის წრილმანი ნაწილების მოპარვისთვის. დამცველი იყო ახალგაზდა კომუნისტთა კავშირის წევრი, რომელმაც მჭერმეტყველად დაახასიათა დამნაშავეთა მდგომარეობა, რომ შიმშილმა აიძულა ისინი მოეპარათო. დარბაზი გავსებული იყო ათასზე მეტი ხალხით, რომელმაც მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა დამცველი... ათსავე მიუსაჯეს ათ ათი წლის ციხე და ერთი თვის მერე უკვალოდ დაიკარგა ახალგაზდა დამცველი. კაცმა არ იცოდა რა დაემართა, მაგრამ ყველა გრძნობდა და მიმხვდარი იყო... დიახ, დანაშაულობაა აზრის გამოთქმა... ერთი ჩვენი მუშა ურალში გადაიყვანეს ტყის საჭრელად იმიტომ რომ მან გაბედა იმის თქმა, რომ არაფერი ქონდა საჭმელი... აუარებელია ასეთი მაგალითი...

«მე ვცხოვრობდი სოკოლნიკის ციხის ახლო და მოწმე ვიყავი ბევრი სისაძაგლის... რუსეთის მუშა, მოტყუებული თავის ლიდერების მიერ და გაცემული საზღვარ გარეთელ მუშების მიერ, სულს ღაფავს შიშისა და შიმშილისგან...

«ხანდახან მე ვნახულობდი ნაცნობ მუშებს მათ ბინაზე. ზოგიერთები ცხოვრობდენ 500-600 სულთან ერთად ერთ ოთახიან ყაზარმაში; ბევრი ცოლიანი იყო. ზოგიერთებს თივის საწოლი ჰქონდათ, ზოგიერთებს არაფერი, იწვნენ ცარიელ იატაკზე, ან ყუთებზე უბალიშოთ, უსანთლოთ. მეკითხებოდენ მუშების მდგომარეობაზე ამერიკაში. მიუხედავად ჩემი პრინციპიალურ წინაამდეგობისა კაპიტალისტურ სისტემის მიმართ, უნდა სიმართლე მეთქვა, რომ იქ უმუშევარი არ შიმშილობს, რომ მე და ჩემ ცოლს ექვს ოთახიანი ბინა გვქონდა ყოველნაირ მოწყობილებით, ავტომობილი, რადიო და სხვა. მათ ბინაზე დიდ ხანს ვერ ვძლებდი, ვერ ვიტანდი აყროლებულ ჰაერს... და ასეთი ცხოვრება ჰქონდა ჩვენი «ელექტროზავოდის» 11.000 მუშას. და ეს «ზავოდი» ითვლება მოდელად, საუკეთესოდ... მუშები ვერ ბედავდენ ლაპარაკს პოლიტიკასა და მატერიალურ მდგომარეობაზე, ორი-სამის გარდა, ვინც მე მენდობოდა, მაგრამ ეტყობოდა, ყველა გამსჭვალული იყო სიძულვილით სტალინის რეჟიმისადმი. ყველა ოცნებობდა, რამე შემთხვევა მომხდარიყო, რომ მთავრობა გამოცვლილიყო. ყველა მოხარული იყო რამე კატასტროფისა, რომ თავი დაეხწიათ ყმობისთვის...

«მე არ შემეძლო მოთმენა ამ უსამართლობისა, რომელსაც ვხედავდი გარშემო. ხშირად ვეუბნებოდი უფროსებს, ვწერდი კომიტეტებს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს მივწერე თვით სტალინს. მიუთითე მუშების შიმშილსა და უმწეო მდგომარეობაზე. აგრეთვე აღვნიშნე ჩვენი ქარხნის უწესობა და მოვითხოვე რევიზია. სხვათა შორის სტალინს ასე მივწერე: «მე ვიყავი უბრალო მუშა შეერთებულ შტატებში, აქ კი გამხადეს ინჟინერი. ეს წარჩინება მივიღე იმიტომ, რომ დირექტორებს უნდოდათ ჩემი დაკმაყოფილება, ჩემი გაჩუმება. ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, ამხანაგო სტალინ, ჩვენ წავიწევით წინ ამისთანა მდგომარეობაში? რუსეთის მუშები ხედავენ, რა უსამართლობა ხდება აქ ყველგან. რუსეთის მუშები ხედავენ, რომ მათი ქარხნის უფროსებმა არაფერი იციან, მაგრამ კარგად ცხოვრობენ. ამიტომ რუსეთის მუშებს ეჭვი ეპარებათ მომავალ სოციალიზმის, და აი ეს არის მიზეზი რომ მუშები აფუჭებენ ყველაფერს»... ეს და სხვა ჩემი საჩივრები მხოლოდ ბიუროკრატიული უკმაყოფილო შეკითხვებით გათავდა...

«ნერონი თამაშობდა, როცა რომი იწვებოდა! სტალინი «მაძღარი რუსეთის» სინემატოგრაფიულ სურათებს იღებდა, როცა ხალხი შიმშილით იხოცებოდა. ეს იყო პასუხად ჰიტლერის კამპანიისა, რომ რუსეთში მყოფ დამშეულ გერმანელებს დახმარებოდა... რომ დაემტკიცებიათ უცხოელ ქვეყნებისთვის, რუსეთში შიმშილობა არ იყო, და ყველაფერი ჰიტლერის და სხვების პროპაგანდა იყო, 1933 წლის სექტემბერში, როცა რუსეთი შიმშილით იხოცებოდა, საბჭოების მთავრობამ მოაწყო ექსკურსია 200 კაცისაგან შემდგარი. მთავრობამ ადრე გასცა განკარგულება, ქარხნებს აერჩიათ მომეტებულად უცხოელი კომუნისტი მუშები ამ მოგზაურობისთვის. ამ სასირცხო ექსპედიციაში «ელექტროზავოდი»-დან მე ვიყავი წარმოდგენილი. ამ ორას კაცს სათავეში ედგათ 50 მთავრობის წარმომადგენელნი, კორესპონდენტები, სურათის გადამღებნი და სხვა. ჩვენ განკარგულებაში იყო გემი «კომსომოლეც», რომელიც გავსებული იყო საჭმელ-სასმელით. ქალაქ გორვიდან (ნი-

ქნი ნოვგოროდი) ასტრახანამდე შევჩერდით ათიოდე ქალაქში, სადაც უხვად შემოქონდათ საჭმელ-სასმელი ჩვენ გემში და სადაც ქეიფით გვიღებდენ. აქედან იგზავნებოდა დეპეშები, რომ «კოლონისტები» გამძღარნი არიანო... მიუხედავად ყოველ ზომების მიღებისა, ჩვენ ვხედავდით საძაგელ სურათებს: ძონძებში გახვეულებს ერეკებოდენ, რომ ახლო არ მოსულიყვნენ და რომელნიც ყვიროდენ და გვთხოვდენ: პური, პური მოგვეცითო...

დაბრუნებისას ცენტრალურ პარტიულ კომიტეტს მზად ქონდა ჩვენთვის რეზოლუცია, რომ გერმანელი კოლონისტები მდიდრად და მხიარულად არიანო, რომელზედაც ყველას უნდა მოგვეწერა ხელი. ზოგი იძულებული ვიყავით რადიოში გველაპარაკა. სიტყვების ტექსტი რადიოს კომუნისტურ კომიტეტისთვის უნდა მიგვეცა მოსაწონებლად. ჩემი მომზადებული ტექსტი სამჯერ იქნა დაწუნებული. ბოლოს მომცეს მათი დაწერილი ოფიციალური ტექსტი, რაზედაც, როგორც პარტიის წევრს, უარის თქმა არ შემეძლო...

რადიოზე წავიკითხე კომიტეტის წერილი, თუ როგორ რა ვნახე და რა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მოგზაურობამ, და ამისთვის მივიღე 250 მანეთი.

ნაური.

ITALIELI ŽURNALISTI RUSETSHI

«Corriere della Sera»-ს თანამშრომელს ბ. ბეონიო ბროჩიერს ჰაეროპლანით უმოგზავრნია საბჭოთა რუსეთში აღმოსავლეთ ციმბირამდე. ბ. ბროჩიერს შემთხვევა ჰქონია დაეთვალიერებინა დიდძალი ქალაქები და მკითხველს უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს ნახულიდან, იმ წერილებში, რომელიც დაუწერია, როგორც კი რუსეთს მოშორებია. ჩვენ ვსარგებლობთ ერთ იმ წერილს, რომელიც მოთავსებული იყო «პოლსკა ზბრონია»-ში 27 მაისს 1935 წ. ბ. ბროჩიერი სწერს: დღეს საღამოდან, ე. ი. იმ წამიდან, როცა ჩემი ჰაეროპლანი დაეშვება პოლონეთის პირველ ჰანგარში, ეჭვს გარეშეა მივიღებ შთაბეჭდილებას, რომ ვითომდა ხელახლა დავიბადე. ამ დროიდან ბოლო მოეღება მეგაფონების ყვირილს, რომ ბურჟუაზულ ქვეყნიერებას კატასტროფა მოელის, და გუნდრუკის კმევას პროლეტარიატის დიქტატურისთვის; ბოლო მოეღება უსიტყვო ბრბოებზე მზერას, რომელნიც დაფლეთილ ტანსაცმელში, მთელი საათების განმავლობაში სანოვაგის დუქნების წინ არიან აყუდებულნი. ვერ დავინახავ რევოლუციონურ ფურცლებს და სიმბოლიურ ილუსტრაციებს, რომლებშიდაც წარმოდგენილია ბავშვების, ქალების და მუშების ხოცვა-წამება სისხლის მსმელ კაპიტალისტების, იმპერიალისტურ ოფიცრების და მომშხამველ სამღვდელოების მიერ. ჩემი თვალები ვერ დაინახავენ უღვთოთა პროფანაციებს, გინებით აღსავსე წერილებს ყოველივე იმის წინაამდეგ, რაც სხვა ერების მორალურ საფუძველს შეადგენს. არ მომეცემა საშუალება ვიკითხო გაზეთებში, ბროშურებში, ტრანსპარატებზე, რომ ქვეყნიერებას განაგებენ დანაშაულთა, მკვლელთა, დეგენერატთა, უსაქმოთა და კაცთმჭამელთა ბრბონი და რომ მხოლოდ ბოლშევიკების ატმოსფერაში პროლეტარიატი სუნთქავს თავისუფლად, რომ მხოლოდ ამ ატმოსფერაში იგი სარგებლობს კოლექტურ ავლადიდებას და სოციალურ განახლებას.

მადლობა ღმერთს, ყოველივე ამას ბოლო მოეღო—განაგრძობს ბ. ბროჩიერი—ისე მაქვს წარმოდგენილი, რომ ციებ-ცხელების შემდეგ ერთბაშად მოვკეთდი, რომ განვთავისუფლდი გულშემზარავ სიზმრისაგან. და როდესაც ვფიქრობ ჩემს მდგომარეობაზე, როგორც უცხოელის, რომელსაც რამდენიმე წამის შემდეგ შეუძლიან, ჰაეროპლანის ფრთებზე დასტოვოს ღერმეტიულად დახურული საზღვრები, სიმწარით ვფიქრობ იმათზე, რომელნიც იქ დარჩნენ, სამუდამოთ ჩაკეტილნი, ყოველგვარ იმედს მოკლებულნი, რომ ოდესღაც შესძლებენ ამ საზღვრებს გასცილდნენ. აი სინამდვილე მთელი რუსეთის მოსახლეობის. არც ერთ ერს არ განუცდია ასეთი ხანგრძლივი ტუსაღობა. მეორე მხრივ გულახდილად უნდა ითქვას, რომ საკმაოა მეტად მოკლე დრო გაატარო რუსეთში, რომ დარწმუნდე, რომ ეს 160 მილიონიანი ხალხის სატუსაღოში მოქცევა არის აუცილებელი პირობა იმ წყობილების შესანახად, რომელიც იქ არსებობს. წარმოვიდგინოთ ერთ წამს, რომ მოისპო საპარსპორტო შეზღუდვანი, რომ გლეხებს და მუშებს შეუძლიათ ამ სატუსაღოს მოშორდენ და ისევ დაბრუნდენ, უამბონ სხვებს, თუ რა ხდება სხვაგან,—ცხადია დაინგრევა ყოველივე ის, რაც ეყრდნობა მარტო პოლიტიკურ პროპაგანდაზე.

კედელი, რომელიც აშორებს საბჭოების რუსეთს სხვა ქვეყნებს—უნგრევია. ერთ წუთსაც, რომ წარმოვიდგინოთ, რომ ის დაინგრა, ნამდვილ წარღვნას ექნებოდა ადგილი. მაგრამ ეს კედელი მაგრადაა აშენებული. მილიონობით განწირულნი მის საფუძველთა გასამაგრებლად მუშაობენ.

საზღვართა დასაცავად უთვალთვალებენ არმატები, კარაბინები და საომარ საშუალებათა უზარმაზარი აპარატები. და ეს საშუალებანი გლეხ მუშათა შიმშილით ნაზღაურდება. რომ ყოველივე ამის დანახვა შესაძლებელი იყოს ხალხის დისციპლინის, პატრიოტული ან სამხედრო სულისკვეთების თვალსაზრისით, ეს იქნებოდა აღმაფრთოვანებელი, საუცხოო რამ, რომელიც დაახასიათებდა დიდ ერს; მაგრამ თუ შევხედავთ ამას კომუნისტური პროპაგანდის თეორიული საფუძვლების თვალსაზრისით, დავინახავთ მასში განუსაზღვრელ კონტრასტს. და მართლაც ეს ყველა ქვეყანაზე უფრო მილიტარისტული ქვეყანა,რომელიც თავის მოქალაქეებს უნერგავს მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღების იდეას, სწორედ ეს ქვეყანა იბრძვის «ბურჟუაზიული იმპერიალიზმის სამხედრო სულის» წინაამდეგ. და ბოლშევიკური რევოლუცია ხომ აღმოხეთქდა ანტიმილიტარისტული და საერთო თანასწორობის საერთაშორისო მიფის წინაამდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების აღზრდის სისტემაში იჭედება მხოლოდ თავდასხმის და დაპყრობის სული. ახალგაზდათა აღსაფრთოვნებლად შექმნილია საბრძოლველი ტონი და სამხედრო ნომენკლატურა თვით სამეურნეო ცხოვრების დარგში. მთელი ცდანი ე. წოდებულ გეგმიანობისა აფერადებულია სტრატეგიული სიმბოლოებით სხვადასხვა «ფრონტების», «თავდამსხმელ ბრიგადების», «თავდასხმის და კონტრატაკის», «პარტიის მსუბუქი კავალერიის» და სხ.

მხოლოდ იმათი მდგომარეობაა უზრუნველყოფილი, ვინც მოკალათებულა სამხედრო უმაღლეს სფეროებში, პოლიციის შტაბებში; იმათი, რომელთაც შეძლება გააჩნიათ, პოლიტიკური გავლენის წყალობით მოხვდენ უნივერსიტეტში და მიიღონ დიპლომი. ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს დამათვალიერებინეს ერთი სასწავლებელი. ვესაუბრე მოწაფეებს, გამოვკითხე თუ რა გეგმები აქვთ მომავლისთვის. მიპასუხებდნენ: მინდა ვიყო ქიმიკოსი, წითელი არმიის ჯარის კაცი, მფრინავი, პროფესორი, ასტრონომი, ექიმი, მეზღვაური, მაგრამ არც ერთი საგან არ გამიგონია, რომ მინდა ვიყო მიწის მშრომელი ან მუშა. და ეს გლეხთა და მუშათა რესპუბლიკაში!

კავკასიის ერთა დამოკიდებლობის

საერთო დღესასწაული ქ. ვარშავაში

მიმდინარე წლის პირველ ივნისს ვარშავის ერთ-ერთ კლუბის დარბაზში გადახდილ იქნა კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის საერთო დღესასწაული, რომელსაც დაესწრო ვარშავაში კავკასიელთა კოლონიის დიდი უმრავლესობა და წარმომადგენლები პოლონეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების.

პრეზიდიუმში ადგილი დაიჭირეს აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ალიბეიმ, მთიელების მაღომედ გირეიმ და პოლონეთის ქართული კომიტეტის თავმჯდომარემ კ. იმნაძემ.

სადღესასწაულო კრება გახსნა ქართული კომიტეტის თავმჯდომარემ კ. იმნაძემ, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ პოლონეთის ერის უდიდეს ბელად მარშალ პილსუდსკის ხსოვნისთვის, რის შემდეგ წარმოსთქვა პოლონურ ენაზე შემდეგი სიტყვა:

«კაცი ბომბის, ხმალის და კალმის—ეს ფანტასტიური შეზავება მოქმედების და აზროვნების იძლევა მთელ რიგს საგმირო საქმეებისას»,—ამბობს პრეზიდენტი ჟორდანია თავის წერილში, რომელიც მიძღვნილია პოლონეთის ერის დიდ ბელად მარშალ იოსებ პილსუდსკისადმი.

დღეს კავკასიის ერთა საერთო დამოუკიდებლობის დღესასწაულზე, არ შეიძლება არ მოვიგონოთ უწინარეს ყოვლისა ის ლეგენდარული პიროვნება, რომლისაკენ მიპყრობილი იყო მთელი მსოფლიოს ყურადღება და პირველ რიგში კი ტყვეობაში მყოფ ერთა, რომელნიც იბრძვიან თავიანთ დამოუკიდებლობისათვის.

მანათობელ და გზის მაჩვენებლად დარჩება ის მარად დამოუკიდებლობის და თავისუფლებისთვის მებრძოლ კავკასიის ერთათვის. დიდი, ძლევამოსილი სული დიდი მარშალის თავს დაგვტრიალებს და მოგვიწოდებს ამ მძიმე ბრძოლაში გამძლეობისაკენ, ქედ მოუხრელ სიმტკიცისა და თავდადებისაკენ იმ იდეების განსახორციელებლად, რომელსაც შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე.

ის იყო თავის ერის გზის მაჩვენებელი, გახდა ის გზის მაჩვენებელი მონობაში მყოფ ერთათვის.

მისი სული მოგვიწოდებს ჩვენ—კავკასიელებს: «წინ—გამარჯვებისაკენ». კავკასია უკან არ დაიხევს —გასწევს წინ!

ჩვენ გავიმარჯვებთ!»

შემდეგ ლაპარაკობს აზერბაიჯანის წარმომადგენელი მირზა ბალა, რომელიც ჩვენ გამარჯვებას ხედავს კავკასიის ერთა მტკიცე კავშირში და ასრულებს თავის სიტყვას შემდეგი სიტყვებით:

«კავკასია გაიმარჯვებს მხოლოდ ერთად დგომით, ერთად ბრძოლით» ო.

აზერბაიჯანის წარმომადგენლის შემდე თავმჯდომარე სიტყვას აძლევს აღმოსავლეთის ინსტიტუტის გენერალურ მდივანს პროფესორს ო. გურკას. კავკასიის ერთა დიდი მეგობარი ბ. გურკა ცნობილი ორატორია. ლამაზ ფორმებში ჩასხმულ სიტყვაში; პროფ. გურკა, კავკასიის ერთა გამარჯვებას ხედავს მტკიცე, ქედმოუხრელ ბრძოლაში.

შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე მთიელთა წარმომადგენელმა ინჟინერმა ბილატიმ და ყირიმის ბ. ზიხნიმ.

უკრაინის სახელით მოულოცა და მჭერმეტყველურ სიტყვაში უკრაინულათ უსურვა გამარჯვება მოკავშირე კავკასიის ერთ პოლონეთში უკრაინის ემიგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა D-r შკურატმა.

ბ. შკურატის შემდეგ სიტყვა ეძლევა პოლკ. კიაზუმბეგს, რომელმაც, განჯის ცნობილ აჯანყების 15 წლის თავის აღსანიშნავად, კრებას გააცნო ამ აჯანყების ზოგი ეპიზოდები და გამოსთქვა იმედი, რომ მომავალში თავისუფალი კავკასია სოლიდარულად და მტკიცედ დაიცავს თავის თავისუფლებას.

დაბოლოს სენატორი სედლეცკი, აღმოსავლეთის ინსტიტუტის თავმჯდომარე,—საქართველოს და კავკასიის ცნობილი გულწრფელი მეგობარი, კავკასიის ტერიტორიაზე მობინადრე ერთა საკითხს უდგება მეცნიერულის თვალსაზრისით. სენატორმა სედლეცკიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს ერნი უხსოვარ დროიდან ამ ტერიტორიის მკვიდრნი —აუტოხტონები არიან, რაც ამ ერთა გამარჯვების ერთ თავდებთაგანია.

კრება ერთხმად ღებულობს წინადადებას გაეგზავნოს მისალოცი დეპეშა კავკასიის ერების ბელადებს.

თავმჯდომარე, უხდის რა მადლობას სტუმრებს, იწვევს მათ ჭიქა ჩაიზე.

ქართულმა კომიტეტმა 26 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავათ წირვა გამართა მართმადიდებელთა საკათედრო ტაძარში. კავკასიის ემიგრაციასთან ერთად წირვა მოისმინეს პოლონეთის სხვა და სხვა ორგანიზაციების და უკრაინელთა წარმომადგენლებმა. სწირა მღვდ. გრ. ფერაძემ.

ჩრდილო-კავკასიელთა შორის

ამ რამდენისამე თვის წინად ვარშავის აღმოსავლეთის ინსტიტუტთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელმაც მიზნად დაისახა ერთის მხრით საერთო ანბანის შემუშავება ჩრდილო-კავკასიისათვის და მეორეს მხრით გამორკვევა გზებისა, თუ როგორ შეიძლება შეიქნეს საერთო ენა ჩრდილო-კავკასიელ ტომებისათვის.

კომისიაში შევიდნენ: ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე სენატორი სტ. სედლეცკი, ინსტიტუტის გენერალური მდივანი პროფ. ოლგ. გურკა, პროფ. სტ. პონიატოვსკი, პროფ. ან. ზაიანჩკოვსკი, პროფ. მიხ. დომაშევიჩი და მთიელების მხრით—ბაგაედდინ ხურშ, ჰუსეინ კუმუზ, მოჰამედ ჩუკუა, ბარასბი ბაიტუგან, ყანბეგ ხავეოკო, ბალო ბილატი, იუსუფ უმაშ.

რამდენისამე წინასწარი სხდომის შემდეგ კომისიამ გადასწვიტა, რომ ჩრდილო-კავკასიის მომავალ საერთო ანბანს საფუძვლად დაედვას ეგრედ წოდებული ახალი თურქული ანბანი, რომელიც უკვე შემოღებულია საბჭოების მიერ აღმოსავლეთის «ავტონომიებში» და კერძოთ ჩრდილო-კავკასიაშიც.

რაც შეეხება საერთო ენას ტომებს შორის, კომისია შეჩერდა ყუმიხურ ენაზე (ყუმიხური თურქულის ერთი კილოთაგანია). გადაწყდა, რომ ამ ენაში შეიტანონ ყველა ის სიტყვა, რომელიც საერთოა ჩრდილო-კავკასიურ ენების უმეტესობაში. კომისიამ ჯამდის უკვე აღმოაჩინა ასამდე ასეთი სიტყვა.

უკრაინელთა შორის

უკრაინის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, სტალინის მარჯვენა ხელმა, პოსტიშევმა უკრაინელ მწერალთა ყრილობაზე კიევში სიტყვა წარმოსთქვა და ასე დაახასიათა «კონტრ-რევოლუციონური» მოძრაობა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ: იყო სამი ეტაპი, სთქვა: პირველი დასრულდა დაახლოვებით 1928 წელს, მას ხელმძღვანელობდენ შუმსკი და ხიგლოვი, რომელთა დევიზი იყო გამოყოფა რუსეთისაგან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ლიტერატურადაც. «ჩვენ არ გვჭირია რამე ვისწავლოთ მოსკოვისაგან, ამბობდენ ისინი: ჩვენ უნდა დავუახლოვდეთ ბურჟუაზიულ ევროპასო». მეორე ეტაპი იყო 1928-1933 წლებში, რომლის სულის ჩამდგმელს წარმოადგენდა სახალხო კომისარი სკრიპნიკი. უკრაინელი მწერლები თავის ნაწერებში ხატავდენ საბჭოების ბატონობას როგორც უცხოს და გარდამავალს და კომუნისტთა ლიდერებს წარმოადგენდენ როგორც გადაგვარებულებს და გიჟებს. მესამე პერიოდია დღეს—ესაა პირდაპირ ტეროორიზმზე გადასვლა და მზადება აჯანგებისა საბჭოების წინააღმდეგ.

ქართველები პოლონეთში

კრაკოვში გაემგზავრა ვარშავიდან სამოცი კავკასიელი, რომელთაც ეროვნული დროშებით პატივი სცეს სოვინეცში იოსებ პილსუდსკის საფლავს. ქართველებმა მიიტანეს საქართველოს მიწა და დააყარეს იმ გორაკს, რომელიც უნდა აღიმართოს დიდი პოლონელის ხსოვნისათვის.

ქართული ოფისი

გადავიდა ახალ ბინაზე:

38 rue Boileau. Hameau Boileau. მეტრო № 8: სადგურები Chardon Lagache ან Molitor.

ოფისი ღიაა ნაშუადღევის 3-დან 6 საათამდის.

გიანკური

«დამოუკიდებელი საქართველო» იყიდება

დ. ყიფრეფლიანთან

93, Av. Ed. Vaillant, 93.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.